გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
შაბათი, 25 ივნისი, 2005 წელი.
№149 (5182)

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ტოგოტიც ბოჭდეგუტი სიფცვაა, ფცუიოლებით და ჯოტებით ბუტთის გაფანა ყეოლა უკადტისოტაზე უსაძაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

პრემიერი დასავლეთს სტუმროობდა

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში, 24 ივნისს სენაკიდან დაიწყო.

10 საათზე იგი სენაკში ჩამფრინდა და დაათვალიერა სოფელ თეკლათის საშუალო სკოლაში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ასევე ბერძნულ-ქართული ერთობლივი ხეტყის გადამამუშავებელი კომბინატისა და სენაკი-ჩხოროწყუ-წალენჯიხა-ზუგდიდის მშენებარე საავტომობილო გზის დათვალიერება, რის შემდეგაც პრემიერ-მინისტრი ზუგდიდში ჩავიღოდა და დაათვალიერებდა ინფრასტრუქტურის ობიექტებს, გეეცნობოდა სამშენებლო სამუშაოებს, რომელიც მიმდინარეობს ბოტანიკურ ბაღში, ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე და დადიანების მუზეუმში. 14 საათზე დაგეგმილი იყო შეხვედრა პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან, რაიონის გამგებლებთან, ქალაქ ფოთის მერთან და აქციის წარმომადგენლებთან.

შემდეგ, პრემიერ-მინისტრი გაემგზავრა ყულევში, დაათვალიერა „ყულევის“ ტერმინალი და შეხედა კოლექტივს. ვიზიტის ბოლოს ნოღაიდელი ფოთში ქალაქის ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას გაეცნო, ეწვია რამდენიმე კერძო საწარმოს. გაიმართა შეხვედრა ვემთმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობასთან და ქარხნის საწარმოო კოლექტივთან.

* * *

ზუგდიდში, სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ, პრემიერ-მინისტრი ადგილობრივმა მოსახლეობამ, ფაქტობრივად, ალყაში მოაქცია. დაახლოებით 50 -70 ადამიანი პრემიერ-მინისტრთან საყოფაცხოვრებო საკითხებზე სასაუბროდ მივიდა. ძირითადი პრეტენზიები ელექტროენერგიით მომარაგების საკითხს შეეხებოდა. მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა ზურაბ ნოღაიდელს განუცხადა, რომ ენერგოკომპანიის ადგილობრივი ხელმძღვანელი გოჩა ქობალია ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და საჭიროა მისი შეცვლა. პრემიერ-მინისტრს ამ მოთხოვნაზე კონკრეტული პასუხი არ გაუცია, თუმცა დაავალა პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარეში კახა არდიას სასწრაფოდ მოაგვაროს ელექტროენერგიასთან დაკავშირებული საკითხები.

ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი და სადაც ეს პროცესი დასრულებულია, იქ ელექტროენერგიის ამოღება შეესაბამება რეალობას, ხოლო ზუგდიდში ეს პროცესი მიმდინარეობს ნელა და ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით მოსახლეობას პრეტენზიები ექნება. პრემიერ-მინისტრის თქმით, ყველაფერი ისე უნდა დასრულდეს, რომ მოსახლეობას პრეტენზიები აღარ ჰქონდეს.

ამის შემდეგ ზურაბ ნოღაიდელმა და პრეზიდენტის რწმუნებულმა კახა არდიამ პირისპირ, დახურულ კარს მიღმა გამართეს საუბარი. რწმუნებულთან შეხვედრის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი „ყულევის“ ტერმინალის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

ინტერპრესნიუსი.

პაემანში აღებული ფული და „პოლიტიკური ისტერია“

გუშინ კომიტეტის სხდომაზე უშიშროების საბჭოს, იუსტიციის სამინისტროს, ომბუდსმენის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი. თავდაპირველად უშიშროების საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ მოისმინეს ინფორმაცია. იხ. მე-2 გვ.

◎ საზღვარგარეთ

ტოკიოში, პარლამენტის შენობის წინ მჯდომარე გაფიცვა დაიწყეს იმ იაპონელთა ნათესავებმა, რომლებიც გაიტაცეს ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურებმა. გაფიცვის მონაწილეები მოითხოვენ ეკონომიკური სანქციების შემოღებას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დაავალა სახელმწიფო დეპარტამენტს გააძლიეროს ბრძოლა მგრული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინააღმდეგ. ამის მიზეზია ის, რომ კონგრესს სურს შეიგყოს, თუ მასობრივი ინფორმაციის რომელი საშუალებები ავრცელებენ შეგნებულად ამერიკის შესახებ ნეგატიური ხასიათის ინფორმაციას მთელ მსოფლიოში. საგარეო-პოლიტიკურ უწყებას დავალა უფრო მკაცრად ებრძოლოს ტერორიზმს და ერაყში მიმდინარე ომთან დაკავშირებით „ბოროტი პროპაგანდის“ გავრცელებას. სახელმწიფო დეპარტამენტმა რეგულარულად უნდა ჩაბაბაროს ანგარიში კონგრესმენებს ამ კუთხით თავისი საქმიანობის შესახებ.

* * *

ირანში დაიწყო პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს ორი კანდიდატი – ზომიერი პოლიტიკოსი

ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი და რადიკალი-კონსერვატორი მაჰმუდ აჰმად ნეჟადი. არჩევნებზე მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი, რადგან ირანელმა ხალხმა უნდა განსაზღვროს თავისი სამშობლოს შემდგომი განვითარების გზა.

* * *

რუსეთის და ესტონეთის დავა საზღვრების შესახებ წმინდა წყლის პოლიტიკაა და მეტი არაფერი, მიაჩნია გერმანულ გაზეთ „ზიუდოიჩე ცაიტუნგში“ დაბეჭდილი სტატიის ავტორს. საქმე ეხება არა შესაძლო ტერიტორიულ პრეტენზიებს, არამედ პოლიტიკას. ესტონეთს სურს, რომ რუსეთმა აღიაროს საბჭოთა არმიის მიერ მისი ტერიტორიის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი, მოსკოვი კი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ლეკთა თარეში მონაგონია...

ახმეტა სტიქიით მიყენებულ ზარალს ითვლის იხ. მე-3 გვ.

აჯანყებულთა „განდაგანა“

„მომავლის მთავრობა“ ფოქრობს, რომ ერთის მხრივ ხელისუფლების მხრიდან ავტოკრატიისადმი ქრონიკულმა მიდრეკილებამ, მეორეს მხრივ, კი საპარლამენტო უმცირესობის სუსტმა პოზიციამ ერი დააზარალა. იგი გამოსავალს საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში ხედავს“. იხ. მე-2 გვ.

მთელი ოჯახი ღია ცისქვეშ უსახსროდ დარჩა

ლევან კალაძის გატაცება უკავშირდებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამეფებულ მაფიოზურ დაჯგუფებებს და საერთაშორისო კრიმინალურ ავტორიტეტებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მყოფ ჩინოვნიკებთან. დადასტურდა, რომ კახა კალაძისგან სხვადასხვა დაჯგუფებები 600000 დოლარის გადახდას ითხოვდნენ, რაზეც უარი მიიღეს, შემდეგ თვითონ კახას გატაცება სცადეს. ეს ვერ მოახერხეს, მისი ძმა ლევანი გაიტაცეს. იხ. მე-2 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი იტოვებს სამხრეთ ოსეთში წესრიგის დამყარების მიზნით ცალმხრივ ღონისძიებათა განხორციელების უფლებას

საქართველოს ხელისუფლება აპირებს კონტროლი დაუწესოს სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას. ასეთი განცხადება გააკეთა მოსკოვში შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ. მან არცთუ ისე დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინა გასულ ოთხშაბათს გამართული შეხვედრის შედეგების შეფასებისას და აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს „კონფლიქტის ზონაში წესრიგის დამყარების მიზნით ცალმხრივ ღონისძიებათა“ განხორციელების შესაძლებლობა. „ამჟამად რეგიონში არის მრავალი შეიარაღებული ჯგუფი, რომლებიც არანაირ კონტროლს არ ექვემდებარებიან, და ჩვენ ვაპირებთ ამ პრობლემის გადაჭრას. კიდევ ერთხელ მივცემთ ჩვენს კოლეგებს იმის შანსს, რომ ყველა საკითხი ბოლომდე მიიყვანონ“, – თქვა ხაინდრავამ. მაგრამ, ეტყობა, ურთიერთგაგების მიღწევამდე ჯერ კიდევ შორაა.

თბილისის წარმომადგენელს არც რუსი მშვიდობისმყოფელები დავიწყებია. ხაინდრავამ გამოთქვა ეჭვი სამშვიდობო ძალების ეფექტიანობისა და სამხრეთ ოსეთში მათი შემდგომი ყოფნის შესახებ. „თუ მათი საქმიანობა არ იქნება ოპტიმიზებული, ჩვენ დავსვამთ რეგიონში სამშვიდობოთა ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს“, – განაცხადა ხაინდრავამ.

შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის შედეგებით არც ცხინვალის წარმომადგენლები დარჩნენ კმაყოფილნი. როგორც კომისიის თანათავმჯდომარემ, სამხრეთ ოსეთის საგანგებო საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა აღნიშნა, შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს მხარეს ხელი არ მოუწერია სამართალდამცველი ორგანოების ურთიერთმოქმედების შესახებ ოქმისთვის.

იხ. მე-2 გვ.

ისმინე, სწავლის მძებნელო!

ივლისის „ხვაგსა“ და „ციებ-ცხელებამდე“ – ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ორიოდე კვირაღა დარჩა. რა კეთდება და გაკეთდება ამ საგამოცდო მარათონისწინა ეტაპზე?

იხ. მე-3 გვ.

25 ივნისი გალაკტიონის დღედ გამოცხადდა... დღესაც ოცდახუთი ივნისია. ავა კი ვინმე მის საფლავზე?..

იხ. მე-5 გვ.



როგორი განაჩენი ელით „პატიმრებს“?

ჩვეულებრივი დორებია დასაპატიმრებელი, თუ ადამიანები?

მათთან, სავარაუდოდ, საპროცესო გარიგება არ მოხდება. „პატიმრებიც“, ალბათ, თავიანთი შელახული უფლებების დასაცავად „იჩივლებენ“, რადგან თავისუფალი გადაადგილებისა და კვების უფლება შეეზღუდათ.

მაგრამ რა ვუყოთ მათ უკან მოღრუტუნე „ღორებს“, ვინც ამ საქმეზე წლების მანძილზე ითბობდა ხელს და ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებდა? იხ. მე-3 გვ.

ქართული სახელმწიფოს მაჯისცემა

ფორუმში მონაწილეობის მისაღებად

საქართველოს პრემიერი მიხეილ სააკაშვილი გუშინ მონაკოში გაემგზავრა, სადაც „კრასმონგანას“ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას.

„კრასმონგანას“ რიგით მე-16 ყოველწლიური ფორუმი, რომელიც 23 ივნისს გაიხსნა, მონაკოს პრინცის ალბერტ მეორის მხარდაჭერით გარდებ. ფორუმში 120 ქვეყნისა და 1200 საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე და ხელმძღვანელი მონაწილეობს. წლევანდელ ფორუმს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენი რომან გოცირიძეც ესწრება.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტს გადაეცემა ჯილდო მშვიდობის, დემოკრატიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში გაწეული საქმიანობისათვის. პრეზიდენტი საქართველოში 26 ივნისს დაბრუნდება.

უკმაყოფილონი ყველანი არიან

საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, ეგრეთ წოდებული, „აცტგუნნიკები“ და ბინის მესაკუთრეები შეიკრიბნენ და საპროტესტო აქციას მართავენ. საპროტესტო აქციის მონაწილეები საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებულ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის შესახებ იმ კანონპროექტს აპროტესტებენ, რომელიც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოამზადა და რომლის განხილვასაც საქართველოს პარლამენტი გეგმავს.

როგორც საპროტესტო აქციის მონაწილეები აცხადებენ, მათთვის მიუღებელია პარლამენტის მიერ მომზადებული კანონპროექტი. კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდიან, როგორც „აცსტუნნიკები“, ასევე ბინის მესაკუთრეები. ორივე მხარე საკუთარი რაიონის მაჟორიტარ დეპუტატებთან შეხვედრას და კანონპროექტში მათი ინტერესების გათვალისწინებას ითხოვს.

„აცსტუნნიკებმა“ გუშინ პარლამენტის ულენარულ სხდომაზე მიმავალი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გიგი წერეთელი შეაკავეს და მის მიმართ პრეტენზიები გამოთქვეს და დეპუტატს მათი ინტერესების დაცვა მოსთხოვეს.

პატრულის თანამშრომლები მეცადინეობენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო ცენტრში 24 ივნისს საპატრულო პოლიციის მოსამზადებელი პრაქტიკული მეცადინეობების პრეზენტაცია გაიმართა.

საქართველოს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბრძანების თანახმად, შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწის მიზნით, შს სამინისტროს აკადემიაში 20 ივნისიდან პატრულთა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები დაიწყო. ამ ეტაპზე, საპატრულო პოლიციის პირველ სამ ნაკადს გადაამზადებენ.

რეგიონებში საპატრულო პოლიციის პირადი შემადგენლობებისთვის სასწავლო კურსის დაწყება 20 ივლისიდან იგეგმება.

ინტერპრესნიუსი.

№ 149. შაბათი, 25 ივნისი, 2005 წელი.

◎ კანონმდებლები

ცვლილებები საგადასახადო კოდექსში



გადასახადის დამალვისათვის პასუხისმგებლობა მკაცრდება. საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის ინიციატივით შეიდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდება იმ შემთხვევაში, როცა გადაუხდელი გადასახადის თანხა ოცდახუთი ათას ლარს გადააჭარბებს.

– ეს ცვლილება ხელს შეუწყობს საგადასახადო სფეროში არსებულ დანაშაულთა აღმოფხვრას და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საგადასახადო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას, – განაცხადა 24 ივნისს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძე. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას შეიცავს. კერძოდ, გაზრდილია ვადა, რომლის განმავლობაშიც სუბიექტების შესაძლებლობა ექნებათ დამატებით გადასახდელად დაკისრებული თანხა გადაიხადონ და თავიდან აიცილონ სისხლის სამართლებრივი დევნა.

– ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, პირის სისხლის სამართლებრივი დევნა არ იწყება იმ შემთხვევაში, თუ „საგადასახადო მოთხოვნის“ მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში დამატებით გადასახდელად დაკისრებული გადასახადის ძირითადი თანხა და სანქციების თანხა დაიფარება. წარმოდგენილი ცვლილებებით აღნიშნული 15-დღიანი ვადა 30 დღემდე იზრდება, რაც გადასახადის გადახდის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს,“ – განაცხადა გოდაბრელიძემ. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით, პარლამენტში უკვე წარდგენილია სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის პროექტი.

ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო აგენტის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება იმ შემთხვევაში, თუ გადაუხდელი თანხის ოღენობა დარიცხული გადასახადის 25 პროცენტს და ასი ათას ლარს აჭარბებს. საგადასახადო კოდექსის მიღების დროს, ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ეს პირობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მეწარმეთა მუშაობას, რადგან მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უფრო დიდი ოღენობით გადასახადის დამალვის შემთხვევაში დისმებოდა. უფრო მცირე გადასახადის დამალვის შემთხვევაში, ამჟამად მოქმედი კანონით გათვალისწინებულია ფინანსური სანქციები.

ინტერპრესნიუსი.

◎ ოპოზიცია

აჯანყებულთა „განდაგანა“

„მომავლის მთავრობა“ არასაპარლამენტო ოპოზიციის სახელით საპარლამენტო ოპოზიციას სოლიდარობას უცხადებს. მოძრაობის ლიდერი გია მაისაშვილი ამჟამად საქართველოში არ იმყოფება, ამიგომ ოპოზიციას ხმა მისმა თანამებრძოლებმა მიაწვდინეს – მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრებმა ედიშერ წივწივაძემ, ბაალ კასრელიშვილმა და გიგი გიგაურმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.

მოგზახსენებთ, „თბილისის შესახებ“ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას დაუმორჩილებლობის გამოცხადებით ემუქრება. მიუხედავად ასეთი მწვავე განცხადებისა, ოპოზიცია გაერთიანებას მაინც ვერ ახერხებს. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, გაერთიანებაზე სერიოზულად არც ფიქრობს. მაგალითად, გია მაისაშვილის მოძრაობა დანარჩენ ოპოზიციასთან მხოლოდ თემატურ თანამშრომლობაზე თანხმდება. თუკი ეს თანამშრომლობა მასობრივ საპროტესტო აქციებს მოითხოვს, კი ბატონო, თანახმა ვართო, – განაცხადეს გუშინ პრესკონფერენციაზე მთავარი საბჭოს წევრებმა. აქვე უნდა დავძინო, რომ მთავარი საბჭოს წევრები საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ხალხია. როგორც ჩანს, აქაც საქმე „ერთი კაცის პარტიის“ პრობლემასთან გვაქვს. თუმცა, ეს სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ ხვალ და ზეგ ეს აღმიანები ცნობილ სახეებად მოგვევლინონ.

„მომავლის მთავრობა“ ფიქრობს, რომ ერთის მხრივ, ხელისუფლების მხრიდან ავტოკრატიისაღმი ქრონიკულმა მიდრეკილებამ, მეორეს მხრივ, კი საპარლამენტო უმცირესობის სუსგმა პოზიციამ ერი დაბარალა. იგი გამოსავალს საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩაგარებაში ხედავს, ამის აუცილებლობას იმით ხსნის, რომ „ანგიდემოკრატიული და ანტი ხალხური კანონპროექტები მონამორჩილ პარლამენტში უპრობლემოდ გადის“.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ თბილისის პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ძლიერი და დამოუკიდებელი მერი, რომელსაც პარტიები კი არა, თბილისელები აირჩევენ. ხელისუფლება კი საქართველოს მოქალაქეებს უფლებას არომმევს ხალხისადმი ანგარიშვალდებული მერი აირჩიონ. საქართველოს ხელისუფლება მიდის არა დემოკრატიის, არამედ „ჰუგინიზაციის“ გზით. „ხელისუფლება მიიღებს ახალ ხელისუფლებას“, – ასეთია „მომავლის მთავრობის მკაცრი მესიჯი ხელისუფლებისადმი.

ოპოზიცია მერებს პირდაპირი არჩევითობის მისაღწევად, რეფერენდუმის ჩაგარებას მოითხოვს. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის (რაც ძალიან სათუოა) შემთხვევაში თბილისის მერის არჩევნებზე ოპოზიცია ერთი კანდიდატით გამოვა. ანუ ჩაგარდება წინასწარი, ასე ვთქვათ, შიდა არჩევნები. ყველა პარტია საკუთარ კანდიდატებს დასახელებს. ის, ვინც ამ წინასწარ არჩევნებში გაიმარჯვებს, ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი გახდება. შეკითხვაზე, „მომავლის მთავრობა“ მიიღებს თუ არა ამ პროცესში მონაწილეობას, მთავარი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ „კონსერვატორების“ ამ იდეის შესახებ მათ მხოლოდ პრესითა და ტელევიზიით შეიგყვეს. „ჩვენ ცოტა გაგვიჭირდება იმ ხალხთან ურთიერთობა, ვინც პრესითა და ტელევიზიით გველაპარაკება“, – განმარგავს „მომავლის მთავრობა“. გია მაისაშვილის თანაპარგიელები აღნიშნავენ, რომ ოპოზიცია მათ ამჯერად „გარკვეული მარცხის შიშის გამო“ დაელაპარაკა.

შემოდგომაზე საქართველოში ხუთ მაჟორიგარულ ოლქში – ისანში, ბათუმში, ქობულეთში, შუახევსა და ტყიბულში შუალედური არჩევნები ჩაგარდება. „მომავლის მთავრობა“ ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს: „ჩვენ ვთვლით, რომ შუალედური არჩევნები იქნება მომავალი ბლეფი. ამდენად, ჩვენ არ გვინდა თავი მოვიტყუოთ. ჩვენ არ გვინდა მოვატყუოთ ჩვენი ამომრჩეველი“,– განაცხადეს მათ.

„თბილისის შესახებ“ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში „მომავლის მთავრობა“ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად „აჯანყდება“. თუმცა, პროტესტის ფორმას ჯერ არ აკონკრეტებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მათი პასუხი ასეთია: „არ ვაპირებთ რაც უკან დახევას და არც საქართველოსთვის კატასტროფის მოგანას. ვვინდა, ქვეყანაში დამკვიდრდეს მუდმივი ევოლუციის ის გზა, რაც საქართველოს დღეს ასე სჭირდება“.

როგორც ყოველთვის, ოპოზიცია პათეტიკურად საუბრობს, მაგრამ გაერთიანებას ვერ ახერხებს, რაც მის წისქვილზე წყალს სულაც არ ასხამს. როგორც ამბობენ, ოპოზიციის „განდაგანა“ ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა და დასავლეთი დაარწმუნა, რომ საქართველოში ოპოზიცია ღესტრუქციულია და ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობას შეარყევს. კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ამ ოპოზიციას თავიდან მოიშორებენ, რათა მერე ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნან, რომელსაც სათავეში ნინო ბურჯანაძეს ჩაუყენებენ.

მზია გელენავა.

◎ ინფორმაცია

ეთიკის კოდექსი პროკურორთათვის

ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით მიმდინარე „პროკურატურის რეფორმირების პროექტი“ დასრულდა, რომლის ფარგლებშიც 664 პროკურორს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ტრენინგები ჩაუტარდათ.

პროკურატურის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში 140-მა პროკურორმა და უწყების ადმინისტრაციის თანამშრომელმა კომპიუტერის შემსწავლელი კურსები გაიარა, 115 მათგანს სერტიფიკატები გადაეცათ. ამავე პროექტის ფარგლებში, პროკურორებისთვის ეთიკის კოდექსის პროექტი შემუშავდა.

ბრიტანეთის საბჭომ გენერალურ პროკურატურას 95 კომპიუტერი და პერიფერიული ტექნიკა გადასცა. გარდა ამისა, კანცელარიის, კადრებისა და სტატისტიკის დეპარტამენტებისთვის საცდელი კომპიუტერული პროგრამები შემუშავდა.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გუშინ, „თბილისი მარიოტში“ პრესკონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს გენერალური პროკურორი ზურაბ აძეიშვილი, ევროგაერთიანების დელეგაციის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე და ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლები.

რის მიღწევა შეიძლება ახალი ხელისუფლების პირობებში?

თბილისის მერიის შენობის წინ საკრებულოს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების“ მიერ დაგეგმილი აქცია ჩაიშალა. „ახლები“ მერიის შენობის ბლოკირებას, მიწისძვრით დაზარალებულებთან, თბილტრანსის მძღოლებთან და კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულებთან ერთად გეგმავდნენ, თუმცა მერიასთან მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მივიდა. – დღევანდელი ხელისუფლება შევარდნაძის მეთოდებს ანადგენებთ ცდილობს ზოგის გადაბირებას, ზოგის დაშინებას, ზოგმა კი უბრალოდ დაკარგა იმედი, რომ ამ ხელისუფლების პირობებში რაიმეს მიღწევა შესაძლებელია,“ – ასე ხსნის ფრაქციის თავჯდომარე გიორგი მოსიძე, მოსულ ადამიანთა სიმცირის მიზეზს.

– ახალი მემარჯვენეები“ ამჯერად ადგილობრივი მთავრობის მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებების პროექტს აპროტესტებენ.

ენერგოპროტესტი ზუგდიდში

ზუგდიდში პრემიერ-მინისტრის ჩასვლას წინ უსწრებდა მოსახლეობის საპროტესტო აქცია ადგილობრივი ენერგოკომპანიის ოფისში. ისინი მოითხოვენ ელექტროენერგიის მიწოდებას და აცხადებენ, რომ მათ მიერ გადახდილი თანხები არამიზნობრივად იხარჯება და არ ირიცხება ბიუჯეტში, როგორც ელექტროენერგიისთვის გადახდილი გადასახადი.

ელექტროკომპანიის ხელმძღვანელი გოჩა ქობალია აცხადებს, რომ მოსახლეობის პრეტენზიები უსაფუძვლოა, იმდენად, რამდენადაც შუგდიდში უკვე დაწყებულია კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი და ამ პროცესთან დაკავშირებით პრეტენზიები არ მიიღება.

„შუქის მოთხოვნა“ შესაძლოა, „პოლიტიკურში“ გადაიზარდოს

ბუშინ, ნაშუადღევს საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა ზესტაფონში, ადგილობრივი მოსახლეობა, დაახლოებით 200-მდე კაცი, ელექტროენერგიის მოთხოვნით, რაიონის გამგეობის შენობაში შეიჭრა. აქციის მონაწილეებთან ელექტროენერგიის კომპანიის წარმომადგენლები და ზესტაფონის გამგებელი იმყოფებიან. მოსახლეობა აცხადებს, რომ მათი მოთმინება ამოიწურა და უკიდურესი ზომების მისაღებად ემზადებიან. როგორც აქციის ორგანიზატორმა ნიკო ჩუბინიძემ განაცხადა, რამდენიმე დასახლებას „თვენახევარია შუქი თვალით არ უნახავს“. ზესტაფონის გამგებლის დავით ფერაძის განცხადებით, მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასური არ გადაუხდია და, შესაბამისად, მათ შუქი ამიტომაც არ მიეწოდებათ.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ „შუქის მოთხოვნას პოლიტიკურში გადაზრდიან“.

საზოგადოებრივი ადვოკატი: საცდელი პროექტი

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის რეგიონული ბიურო თბილისის შემდეგ პირველად გუშინ, ზესტაფონში გაიხსნა. ახალი ოფისი რაიონის ძალებით გარემონტდა, ხოლო ტექნიკურად იგი იუსტიციის სამინისტრომ საცდელი პროექტის ფარგლებში აღჭურვა, რომელსაც ფინანსურად მხარი ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ“ და „აირის საქართველომ“ დაუჭირა.

ზესტაფონის ბიუროს გახსნას ადგილობრივი მთავრობა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ. რაიონულ სახაზინო ბიუროში ორი ადვოკატი, ადმინისტრატორი და კონსულტანტი იმუშავებს, რომლებიც სოციალურად დაუცველ ეჭვმიტანილებს უფასოდ დაიცავენ. როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა განაცხადა, ეს საცდელი პროექტია და თუ გაამართლა, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგება.

ინტერპრესნიუსი

◎ საიდან ტყდება ციხე?

პაემანში აღებული ფული და „პოლიტიკური ისტერია“

კოპაძემ ძალზე პოპულარული კაცი გახდა ამ ბოლო დროს. დღე არ გავა, რამდენჯერმე არ ახსენონ, ოღონდ კარგს ხმამე ხმოლოდ იუსტიციის მინისტრი თუ იტყვის. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსისა არ ვიცი, ბევრი კი ასეთ პოპულარობას თავის გატეხვას არჩევდა. ციხეებში აუგანელი მდგომარეობაა შექმნილი, სახალხო დამცველის აპარატი თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები წამების შემთხვევებს ვეღარ ითვლიან, შოთა კოპაძეს კი, ჯერჯერობით, არ ათავისუფლებენ თანამდებობიდან. ბოლოს და ბოლოს, ამ საკითხზე დაფიქრებას იუსტიციის მინისტრს პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტიც ურჩევს.

გუშინ კომიტეტის სხდომაზე უშიშროების საბჭოს, იუსტიციის სამინისტროს, ომბუდსმენის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელები იყვნენ მიწვეული. თავდაპირველად უშიშროების საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ მოისმინეს ინფორმაცია. მართალია, გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილი დღემდე ვერ შესრულდა, მაგრამ რაც გაკეთდა, კარგად გაკეთდაო, – მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს უშიშროების საბჭოს წარმომადგენლის საშა ნალბანდოვის სიტყვის პათოსი. შემოწმებების დროს ყურადღება, ძირითადად, წინასწარი დაკავების საკნებზე გაუმახვილებიათ, დაკავებულებთან უსაუბრიათ იმის გასარკვევად, ხომ არ გამოიყენა პოლიციამ უკანონო ზემოქმედების მეთოდები, დაუთვალიერებიათ რეგისტრაციის ჟურნალები და ა.შ.

– არასერიოზულია ყველაფერი, რასაც ამბობთ, – გაცხარდა სახალხო დამცველის მოადგილე ბაჩო ახალაია. მისი თქმით, ეს მოქმედებები უშედეგო იყო. შესაბამისი სტრუქტურები ურეაქციოდ ტოვებენ კანონდარღვევათა ფაქტებს. ეს საეროდ, ახალაიას აზრით, აბრი არ ჰქონდა პოლიციაში არსებულ დარღვევებზე ლაპარაკს, რაკი პრეტენზიების ჩამოთვლას ორი დღე მოუნდებოდა. ამიტომაც კომიტეტმა გუშინ მხოლოდ პენიტენციალურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე იმსჯელა, რაც სახალხო დამცველის მოადგილემ მოკლედ ჩამოაყალიბა:

– იუსტიციის სამინისტრო ამბობს, იმიგომ ვვედავებიან, ციხე რაგომ არის ძველი და რაგომ არ არის სათანადოდ დაფინანსებულიო. სინამდვილეში კი ჩვენ პრეტენზიებს იმის გამო გამოვთქვამთ, რომ ასეთ საშინელ პირობებში ციხის აღმინისტრაცია დამატებით მექანიზმებს ქმნის ვითარების გასაუარესებლად. პატიმრებს ფულის გადახდა უწევთ ყველაფერში, თეთრეულიდან დაწყებული მენტაროდ დაგოვოთ კომიტეტის სხდომა, გარეთ გაბრძანდით და თუ გსურთ, პრესასთან გამოთქვით თქვენი მოსაზრება.

აღშფოთებულმა თეა თუთბერიძემ ოთახი დაგოვა. მალე მას კომიტეტის წევრი კოკა გუნცაძეც მიჰყვა ამ სიტყვებით:

– პოლიტიკურ ისტერიაში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებ.

ამ ისტერიაში კი წილი მისსავე სიტყვებს ჰქონდა დადებული. ომბუდსმენი და მისი მოადგილე მან ორმაგ თამაშში დაადანაშაულა – თან მწვავე ანგარიშს წარმოადგენენ, თან ვანო მერაბიშვილის დაკვეთებს ასრულებენო.

ახალაიამ ბრალდებას გუნცაძის შეურაცხმყოფელი სიტყვებით უპასუხა, თუმცა ინიციენტი მალევე დასრულდა.

– სანამ კონგინგენტი არ გამოიცვლება, ციხეში არსებული ვითარება არ გაუმჯობესდება. რა ტრენინგები უშველით ამათ? – წყალი გადაუწურა რესპუბლიკელმა თემურ ნერგვაძემ იუსტიციის სამინისტროს გეგმებს, ტრენინგებით რომ აპირებენ სიტუაციის გამოსწორებას. თანაც ისე, რომ სალოლიაზეველ კოპაძეს არ შეეხონ.



კოგე კორკელიამ მოკლედ ჩამოაყალიბა, როგორ აპირებენ წამების მეთოდთან ბრძოლას, – ძირითადად, სამედიცინო შემოწმებით პატიმრის „შესვლისა და გამოსვლის დროს“.

ახალაიამ კონკრეტული პასუხი მოითხოვა კითხვაზე, რით გარდაიცვალა 2004 წელს 42 პატიმარი. ამ საკითხს გენერალური ინსპექცია იკვლევსო, – იყო პასუხი.

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აბსურდულ აქტებს წერენ, – არ ცხრებოდა ბაჩო ახალაია, – პატიმარმა ორი საკნის კარები დაამგვრია და მეორე პატიმარი მოკლაო. არადა, კარებს უღებენ და ამაში ხუთ ლარს იღებენ.

ნაბი არონია დაინტერესდა, რაგომ არ გახდა იუსტიციის სამინისტროსთვის საკმარისი თუნდაც მხოლოდ სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ფაქტები, იმისთვის, რომ თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა შოთა კოპაძე.

ქალბატონი ნაზიის მსგავსად, ძალზე მკვეთრი და კატეგორიული იყო ლალი ფაფიაშვილის პოზიციაც. საბოლოოდ, კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, გაუგზავნონ წერილი იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციით – კარგად დაფიქრდნენ კოპაძის საკითხზე.

რუსუდან გახარია

◎ ოპოზიცია

აჯანყებულთა „განდაგანა“

„მომავლის მთავრობა“ არასაპარლამენტო ოპოზიციის სახელით საპარლამენტო ოპოზიციას სოლიდარობას უცხადებს. მოძრაობის ლიდერი გია მაისაშვილი ამჟამად საქართველოში არ იმყოფება, ამიგომ ოპოზიციას ხმა მისმა თანამებრძოლებმა მიაწვდინეს – მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრებმა ედიშერ წივწივაძემ, ბაალ კასრელიშვილმა და გიგი გიგაურმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.

მოგზახსენებთ, „თბილისის შესახებ“ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას დაუმორჩილებლობის გამოცხადებით ემუქრება. მიუხედავად ასეთი მწვავე განცხადებისა, ოპოზიცია გაერთიანებას მაინც ვერ ახერხებს. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, გაერთიანებაზე სერიოზულად არც ფიქრობს. მაგალითად, გია მაისაშვილის მოძრაობა დანარჩენ ოპოზიციასთან მხოლოდ თემატურ თანამშრომლობაზე თანხმდება. თუკი ეს თანამშრომლობა მასობრივ საპროტესტო აქციებს მოითხოვს, კი ბატონო, თანახმა ვართო, – განაცხადეს გუშინ პრესკონფერენციაზე მთავარი საბჭოს წევრებმა. აქვე უნდა დავძინო, რომ მთავარი საბჭოს წევრები საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ხალხია. როგორც ჩანს, აქაც საქმე „ერთი კაცის პარტიის“ პრობლემასთან გვაქვს. თუმცა, ეს სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ ხვალ და ზეგ ეს აღმიანები ცნობილ სახეებად მოგვევლინონ.

„მომავლის მთავრობა“ ფიქრობს, რომ ერთის მხრივ, ხელისუფლების მხრიდან ავტოკრატიისაღმი ქრონიკულმა მიდრეკილებამ, მეორეს მხრივ, კი საპარლამენტო უმცირესობის სუსგმა პოზიციამ ერი დაბარალა. იგი გამოსავალს საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩაგარებაში ხედავს, ამის აუცილებლობას იმით ხსნის, რომ „ანგიდემოკრატიული და ანტი ხალხური კანონპროექტები მონამორჩილ პარლამენტში უპრობლემოდ გადის“.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ თბილისის პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ძლიერი და დამოუკიდებელი მერი, რომელსაც პარტიები კი არა, თბილისელები აირჩევენ. ხელისუფლება კი საქართველოს მოქალაქეებს უფლებას არომმევს ხალხისადმი ანგარიშვალდებული მერი აირჩიონ. საქართველოს ხელისუფლება მიდის არა დემოკრატიის, არამედ „ჰუგინიზაციის“ გზით. „ხელისუფლება მიიღებს ახალ ხელისუფლებას“, – ასეთია „მომავლის მთავრობის მკაცრი მესიჯი ხელისუფლებისადმი.

ოპოზიცია მერებს პირდაპირი არჩევითობის მისაღწევად, რეფერენდუმის ჩაგარებას მოითხოვს. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის (რაც ძალიან სათუოა) შემთხვევაში თბილისის მერის არჩევნებზე ოპოზიცია ერთი კანდიდატით გამოვა. ანუ ჩაგარდება წინასწარი, ასე ვთქვათ, შიდა არჩევნები. ყველა პარტია საკუთარ კანდიდატებს დასახელებს. ის, ვინც ამ წინასწარ არჩევნებში გაიმარჯვებს, ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი გახდება. შეკითხვაზე, „მომავლის მთავრობა“ მიიღებს თუ არა ამ პროცესში მონაწილეობას, მთავარი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ „კონსერვატორების“ ამ იდეის შესახებ მათ მხოლოდ პრესითა და ტელევიზიით შეიგყვეს. „ჩვენ ცოტა გაგვიჭირდება იმ ხალხთან ურთიერთობა, ვინც პრესითა და ტელევიზიით გველაპარაკება“, – განმარგავს „მომავლის მთავრობა“. გია მაისაშვილის თანაპარგიელები აღნიშნავენ, რომ ოპოზიცია მათ ამჯერად „გარკვეული მარცხის შიშის გამო“ დაელაპარაკა.

შემოდგომაზე საქართველოში ხუთ მაჟორიგარულ ოლქში – ისანში, ბათუმში, ქობულეთში, შუახევსა და ტყიბულში შუალედური არჩევნები ჩაგარდება. „მომავლის მთავრობა“ ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს: „ჩვენ ვთვლით, რომ შუალედური არჩევნები იქნება მომავალი ბლეფი. ამდენად, ჩვენ არ გვინდა თავი მოვიტყუოთ. ჩვენ არ გვინდა მოვატყუოთ ჩვენი ამომრჩეველი“,– განაცხადეს მათ.

„თბილისის შესახებ“ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში „მომავლის მთავრობა“ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად „აჯანყდება“. თუმცა, პროტესტის ფორმას ჯერ არ აკონკრეტებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მათი პასუხი ასეთია: „არ ვაპირებთ რაც უკან დახევას და არც საქართველოსთვის კატასტროფის მოგანას. ვვინდა, ქვეყანაში დამკვიდრდეს მუდმივი ევოლუციის ის გზა, რაც საქართველოს დღეს ასე სჭირდება“.

როგორც ყოველთვის, ოპოზიცია პათეტიკურად საუბრობს, მაგრამ გაერთიანებას ვერ ახერხებს, რაც მის წისქვილზე წყალს სულაც არ ასხამს. როგორც ამბობენ, ოპოზიციის „განდაგანა“ ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა და დასავლეთი დაარწმუნა, რომ საქართველოში ოპოზიცია ღესტრუქციულია და ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობას შეარყევს. კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ამ ოპოზიციას თავიდან მოიშორებენ, რათა მერე ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნან, რომელსაც სათავეში ნინო ბურჯანაძეს ჩაუყენებენ.

მზია გელენავა.

◎ სად ვეძებოთ სამართალი?

მთელი ოჯახი ღია ციცქვეშ უსახსროდ დარჩა

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ კიდევ ერთ დაზარალებულს ექომაგება

ბათო საღინაძე იხსენებს, რომ დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებების კითხვა ადრეულ ასაკში დაიწყო, ოცნებობდა გამომძიებელი გამხდარიყო ბავშვობა ლეჩხუმში გაატარა, 10 წლიდან აფხაზეთში გაიზარდა, ჯარიც მოიარა. თბილისში იყო პოლიციის ოპერატიული სკოლა, მოსკოვში კი შსს-ს აკადემია. აფხაზეთში სხვადასხვა თანამდებობებზე მოღვაწეობდა, ბავშვობის ოცნება აისრულა, წაკითხულსა და მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში ყოველთვის იყენებდა.

აუხაგეშის დაკარგვის შემდეგ ქვეყნიდან წასვლა და სხვაგან მუშაობა დააპირა. მაშინდელმა მინისტრმა შოთა კვირაიამ დაიბარა და უთხრა, რომ პროფესიონალები პირველ რიგში ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა. თან ქვეყნის დაგოვების მიზეზიც კითხა – საღინაძეს საცხოვრებელი არ გააჩნდა. სწორედ მაშინ აჩუქეს მაპასები ერთი კოგეჯი, შექმნა მეურნეობა, ნელ-ნელა ქონებაც შეიძინა, ოჯახთან ერთად ცხოვრებას თავიდან შეეჭიდა. კვირაიამ იგი სისხლის სამართლის სამმებროს უფროსის მოადგილედ დანიშნა. დღეს საღინაძის 9-სულიანი ოჯახის კოგეჯიდან გამოსახლების მიზეზი, სწორედ მისი პროფესიონალიზმი გახდა.

ჰოლკოვნიკმა ბათო საღინაძემ საქართველოს ხელისუფლებას სტრასბურგის სასამართლოში უჩივეს. მის მიმართ საქართველოში დარღვეულია ევროპული კონვენციის მუ-2 (სიცოცხლის უფლება), მუ-6 (სამართლიანი სასამართლო), მუ-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მუ-13 ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის, ხელმისაწვდომობის უფლება) მუხლები, აგრეთვე ამ კონვენციის პირველი ოქმის (საკუთრების უფლება) მოთხოვნები.

ზაპესში საღინაძეების ოჯახი 1994-2004 წლებში ცხოვრობდა, შსს-ს კოტეჯში იგი კანონიერად, ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე ჩაასახლეს. დევნის მიზეზი კი ცნობილი ფეხბურთელის კახა კალაძის ძმის გატაცების საქმის გამოძიება გახდა, რამაც, როგორც თავად აცხადებს, ზოგიერთი ყოფილი და ახლანდელი მაღალჩინოსანის ინტერესების შელახვა გამოიწვია.

40-წლიანი მუშაობის სტაჟის მქონე საღინაძე 1998 წლიდან პენსიაზე გავიდა. მას გახსნილი აქვს არაერთი დიდი საქმე. საკმარისია დავასახელოთ მაღლენა ბერძენიშვილის ორგანიზებული 21 მკვლელობა მოსკოვში... მის საქმიანობას ჩვენი ახალგაზრდა მთავრობის წარმომადგენლებიც კარგად იცნობდნენ. სწორედ ამიგომ 2003 წლის რევოლუციის შემდეგ შსს-ს ახლადდანიშნულმა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ მას პრეზიდენტის სახელით ორგანოებში დაბრუნება და კახი კალაძის ძმის გატაცების საქმის გამოძიება სთხოვა.

ადვოკატი მალხაზ პაგარაია აცხადებს, რომ საღინაძემ ეს საქმე 3 თვეში გახსნა. მან დაადგინა, რომ ლევან კალაძის გაგაცება უკავშირდებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამეფებულ მაფიოზურ დაჯგუფებებს და საერთაშორისო კრიმინალურ ავტორიგეტებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან. „ბათუმის კონფერენციის შესახებ შევიტყვეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან და ჩვენთვის ოფიციალურად არავის მოუმართავს. სამხრეთ ოსეთი ყოველთვის უჭერდა მხარს ყველა არსებული დაპირისპირების მშვიდობიან მოწესრიგებას მოლაპარაკების მაგიდასთან. მაგრამ, როგორც ჩანს, შემოადინშნული კონფერენცია არის საქართველოს პრეზიდენტის იმ ინიციატივათა ნაწილი, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, განკუთვნილია საქართველოს დასავლელ მეურვეთა აუდიტორიისთვის“. ამავე დროს, მურად ჯიოევმა განაცხადა, რომ აპირებს მონაწილეობას სხვა ღონისძიებაში – თვითგამოცხადებული რესპუბლიკების – აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში. „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ელის ოთხი რესპუბლიკის პრეზიდენტების შეხვედრას, რომლის ფარგლებშიც გაიმართება საგარეო საქმეთა მინისტრების საუბარიც“, – თქვა მურად ჯიოევმა, თუმცა, არ დაუზუსტებია ამ შეხვედრის გამართვის არც თარიღი და არც ადგილი. მისი თქმით, ამჟამად ყველაფერი შეთანხმების სტადიაშია.

იური სიმონიანი,

„ნეზავისიმაია გაზეტა“. 24 ივნისი

НЕЗАВИСИМАЯ

◎ თაოსნობა

კავკასიელთა ერთობას მიეძღვნება

დავით სარაჯიშვილის საერთაშორისო ფონდის ინიციატივით და თბილისის მერიის დადგენილებით თბილისში, ბლდანი-ნაძალადევის რაიონში დავით სარაჯიშვილის პროსპექტისა და ქერჩის ქუჩის გადაკვეთაზე სკვერში „კავკასიელთა ძმობის“ შემორიალური კომპლექსი გაიხსნება.

კომპლექსში განთავსდება მეგობრობის სასახლე, უკვდავთა გალერეა, გამოფენა ღია ცის ქვეშ, დიდების ხეივანი, პანთ „კავკასია“ და სტელა – კავკასიელთა ერთანობის სიმბოლო. ახალი პროექტის წარდგინება გუშინ, თბილისის მერიაში გაიმართა, რომელშეც მოწვეულები იყვნენ ქალაქ თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი და „კავკასიელთა ძმობის“ ერთიანობის წარმომადგენლები.

წარდგინებაზე ითქვა, რომ მთლიანად ტერიტორია მოიცავს 5762 კვ.მ ფართობს. იგი დაიგვირთება სხვადასხვა სახის სიმბოლოებით. გალერეაში წარმოდგენილი იქნება კავკასიის ხალხთა თვითმყოფადობის ამსახველი ქვაში კვეთილი პლასტიკური ფორმები.

ინტერპრესნიუსი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი იტოვებს სამხრეთ ოსეთში წესრიგის დამყარების მიზნით ცალმხრივ ღონისძიებათა გან

№ 149. შაბათი. 25 ივნისი. 2005 წელი.

◎ დავა

„თავში აუვარდებათ“ და მორჩა...

პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე მემარჯვენე ოპოზიციის ალტერნატიულ პროექტს განიხილავენ, რომელიც მერების პირდაპირი წესით არჩევას ითვალისწინებს. საპარლამენტო უმრავლესობის კანონპროექტის მიხედვით კი მერი საკრებულომ უნდა აირჩიოს. ცხადია, ოპოზიცია თავისი ძალებით ალტერნატიული კანონპროექტის გაგებას ვერ შეძლებს.

ამ საკითხზე გთავაზობთ საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ალეკო შალამბერიძის კომენტარს:

– მერი არჩეულმა საკრებულომ უნდა აირჩიოს, საკრებულოს მერის საქმიანობის კონტროლი კანონით აქვს მინიჭებული. ამ კონტროლის შედეგად შესაძლებელი იქნება მისი საქმიანობის შეფასება. თუ მერმა თავის მოვალეობას თავი ვერ გაართვა, საკრებულო მას გადაირჩევს. პირდაპირი წესით არჩევის შემთხვევაში კი გაამართლებს. მერი, თუ არ გაამართლებს, საარჩევნო ვადის გასვლას უნდა ველოდოთ. სხვა მექანიზმი მისი გადარჩევისა, არ არსებობს.

– ხელისუფლება, როცა თვითონ იყო ოპოზიციაში, ასე არ ლაპარაკობდა. მერების პირდაპირი წესით არჩევა, წინასაარჩევნო დაპირებებში შედიოდა...

– სხვა როგორ ლაპარაკობდა, არ ვიცი, მაგრამ მე როცა ოპოზიციაში ვიყავი, მაშინაც ამ აზრზე ვიდექი. კანონპროექტიც კი დავწერე, რომ მერი აუცილებლად საკრებულომ უნდა აირჩიოს. თუ ადამიანი აღრე ასე არ ფიქრობდა და აზრი ახლა შეიცვალა, არც ეს არის დიდი დანაშაული. არის ხალმე მომენტები, როცა შეიძლება თქვა, მერი პირდაპირ ავარჩიოთო, მაგრამ მერე მიხვდე, რა შეცდომას უშვებ და ეს შეცდომა გამოასწორო. თუ ამ ადამიანებს, ვინც ადრე მერის პირდაპირი წესით არჩევას ითხოვდა, ახლა ამ შეცდომის გამოსწორება სურთ, მე ამას მხოლოდ მივესალმები.

– ოპოზიციის აზრით, ეს ყველაფერი ხელისუფლების მხრიდან კანონმდებლობის საკუთარ თავზე მორგებას გულისხმობს.

– არა, უბრალოდ, ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია. საზოგადოების დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას პირდაპირი წესით არჩეული მერი ხელს ვერ შეუწყობს.

– ხელს რითი შეუშლის?

– თუნდაც იმით, რომ, ჩემი აზრით, ადამიანი როგორი ნორმალურიც არ უნდა იყოს, როგორც კი მერად აირჩევ, მაშინვე თავში აუვარდება, სარკეში ყურებას დაიწყებს, განდიდების მანია შეიპყრობს და არაფერს არ გააკეთებს.

– მძიმე სურათი დახატეთ, ნორმალურ ადამიანს ეს არ უნდა დაემართოს.

– ჩემი დაკვირვებით, ჩვენ ეს პრობლემა ქვეყანაში გვაქვს, ამიგომ კონტროლის მექანიზმი აუცილებელია.

– ხომ არ დააკონკრეტებთ, ვინ გვყავს ასეთი „თავში ავარდნილები?“

– დაკონკრეტება საჭირო არ არის. თავში ავარდნის პრობლემა, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არსებობს. აქვე იმასაც დავამატებდი, რომ ისეთ ტოტალიტარულ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, პირდაპირი წესით არჩეული მერი ჰყავს.

– პირდაპირი წესით არჩეული მერი ხომ საფრანგეთსაც ჰყავს?

– კი, ბატონო, ევროპაში, სადაც მერს პირდაპირ არჩევენ, ეს საფრანგეთია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დემოკრატიული ქვეყნებიდან საფრანგეთი ყველაზე ცენტრალიზებულია.

– საფრანგეთთან მსგავსებაზე უარს ალბათ, არ ვიტყოდით...

– დემოკრატიის ლამპრად საფრანგეთს ნამდვილად ვერ მივიჩნევ. ჩვენ ახალი გამოსული ვართ ტოტალიტარული სისტემიდან, დემოკრატიულ ინსტიტუტებს ახლა ვაყალიბებთ და ბევრ რამეზე გვმართებს დაფიქრება.

– თქვენ თურმე მერის „თავში ავარდნა“ გაშინებთ, ოპოზიცია კი აცსადებს, რომ ხელისუფლებას მეერად რეიტინგული ფიგურის მოსვლის ეშინია.

– ოპოზიცია ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ ეს ასე არ არის. ასეთ შედარებას გავაკეთებდი: პარლამენტის წევრები ერთმანეთს ყოველთვის ვპოულობთ. ხხდომის შემდეგ ამა თუ იმ საკითხზე ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ, მაგრამ მთავრობის წევრებთან შეხვედრა ჩვენთვის დიდი პრობლემაა. ამდენად, საკრებულო თავის არჩეულ მერს ყოველთვის იპოვის. პირდაპირი წესით არჩეული მერის პოვნა ისევე გამიძნელდება, როგორც ჩვენი მინისტრების პოვნაა ძნელი. პარლამენტი არის ერთგვარი ინსტიტუტი, რათა მთავრობის წევრებზე შეგაველენა მოვახდინოთ იმ საკითხებზე, რასაც მოსახლეობა გვეუბნება. ასევე შეიძლება ითქვას საკრებულოზე – საკრებულოს წევრების მხრიდან შემოქმედება მერის მუშაობას დადებითად წაადგება. თუ ამ მექანიზმმა არ იმუშავა, მერი და საკრებულო ცალ-ცალკე იქნებიან. ასეთ შემთხვევაში მერი მთელ საკრებულოს ფეხებზე დაიკიდებს და არაფერი ამ ქვეყანაში არ გაკეთდება.

მზია გელენავა.

◎ ესეც ჩვენი სინამდვილე

„პატიმარი“... ღორები განაჩენს ელიან

მაგრამ რა ვუყოთ მათ უკან მოღრუტუნე „ღორებს?“

ჩვეულებრივი ღორებია დასაპატიმრებელი, თუ ამნაირები?

სპარაულოდ, საპროცესო გარიგება არ მოხდება. „პატიმრებიც“, ალბათ, თავიანთი შელახული უფლებების დასაცავად „იჩივლებენ“, რადგან თავისუფალი გადაადგილებისა და კვების უფლება შეეზღუდათ. საქმის მოსაგებად უარიანი იქნება ძვირადღირებულ ადვოკატებსაც თუ დაიქირავებენ, რადგან „პატიმართა“ საერთო რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ (500-ზე მეტს ვარაუდობენ), დავრწმუნდებით, რომ ამ ბიზნესში მარგო ერთი კაცის ინტერესი არ დევს. როგორც ამბობენ, უკანონო ფერმების უკან საკმაოდ ბევრი მაღალჩინოსანი მოიაზრება.

ხუმრობა იქით იყოს და, ეს ამბავი თბილისში ორი დღეა რაც გახმაურდა, როცა საგელევიზიო ეთერში საოცარი კადრები ვიხილეთ...

– პრობლემა გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა, – თქვა საურბისას სანიტარული შედამხედველების ინსპექციის უფროსმა ლევან მესხიშვილმა, – ჯერ კიდევ ორი წლის წინათ თბილისის საკრებულომ აგება განგაში – ნაგავსაყრელზე ღორების ფერმები არსებობს და ქალაქის სავაჭრო ქსელსა თუ ობიექტებში შეიძლება იქ დაკლული, შეუმოწმებელი ხორცი ბარდეთოდესო. მაგრამ, ეტყობა, საქმის ბოლომდე მიყვანა არავინ ისურვა, დაიწყებდნენ შემოწმებას, მივიღოდნენ რაღაც ზღვრამდე, მერე კი ყველა ჩუმდებოდა. მართალი გითხრათ, რა იყო ამის მიზეზი არ ვიცი. არც ჩემდამი დაქვემდებარებულ სამსახურს ევალებოდა უშუალოდ ის, რაც გავაკეთეთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვიღაცას ხომ უნდა გაეკეთებინა?

როგორც თავად მესხიშვილი ამბობს, ანალოგიური ინფორმაცია შეუმოწმებელი ხორცის ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დახურულ შენობებში დამუშავების შესახებ, კვლავ დღის წესრიგში იდგა. ამიგომ გადაწყდა ღამის საათებში ჩაეტარებინათ რეიდი.

შემოვლის დროს, აბასთუმნის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის სარდაფში, სადაც მხოლოდ მიმდებარე ავტოფარეხიდან შეიძლებოდა მოხვედრა, მიაგნეს ხორცის დასაყრელის პოლიგონი 5 ჰექტარ ფართობს მოიცავს, იგი ტერიტორიულად მცხეთის რაიონს ეკუთვნის, მაგრამ ელდანის მასივთან უფრო ახლოს არის, ამიგომ იჯარით აქვს გადაცემული თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს, ამ უკანასკნელს კი, მართვის უფლებით ერთი პირისთვის გადაუცია.

ასე რომ, ახლა მეპატრონე ხელს სახელმწიფო სტრუქტურისკენ იშვერს, ფული მაგათ აქვთ და კეთილი ინებონ და მოაწყონო, კეთილმოწყობის სამსახური კი – მეპატრონისკენ. ტონობით ნაგავი კი ღია ცის ქვეშ ყრია, ტერიტორია შემოულობავია, და იქ მისვლა ყველას შეუძლია, ელდანის მე-7 – მე-8 მიკრორაიონებიდან ტერიტორიულად ახლოსაა და ამდენად აქაური მცხოვრებლებისთვის ინფექციის გავრცელების მხრივ სერიოზულ საფრთხესაც წარმოადგენს. წესით და კანონით ნაგავსაყრელის პოლიგონის ასე უყურადღებოდ მიგოვება არაფრით არ შეიძლება, იგი ყოველმხრივ დაცული უნდა იყოს, – ამბობენ სპეციალისტები.

ნაწილი ღორებისა კი „დააპატიმრეს“, მაგრამ ახლა მსჯელობა მიდის – როგორ მოიქცნენ, რა უყონ მათ.

– ჩვენ მეცხოველეობის ფერმების წინააღმდეგ როდი გამოვდივართ, – აცსადებს მესხიშვილი, – როგორც ახლა ცდილობენ რაღაც იარლიყები მოვუკერონ, ყველაფერი წესით და კანონით უნდა იყოს გამაგრებული. მხოლოდ ნაგავზე გაზრდილი ღორი საკვებად, დარწმუნებული ვარ, არ გამოდგება, აქ ხომ ქიმიური და ტოქსიკური ნივთიერებებიც იქნება.

არის ალტერნატიული წინადადებაც – დაიკლას ღორები და ხორცი შემოწმდეს, მაგრამ ტოქსიკურ ელემენტებზე გამოკვლევა ძვირი დაჯდება. პრობლემა ის არის, რომ იქ, დაახლოებით, 500-ზე მეტი ღორი მაინც იქნება.

ასე რომ, „პატიმარი“ ღორები განაჩენს ელოდებიან. საინტერესოა, წინასწარი პატიმრობა მათთვის რამდენთვიანი იქნება?

ნაზი იმნაიშვილი.

◎ მხარე

ლეკთა თარეში მონაგონია...

ახმეტა სტიქიით მიყენებულ ზარალს ითვლის

ბოლოდროინდელმა კოკისპირულმა წვიმებმა საქართველოს ცალკეული მხარეები კატასტროფის წინაშე დააყენა. ჯერ კიდევ არ დათვლილა საბოლოო ზარალი, რადგან სტიქია ყოველდღიურად ბრდის მის მონაცემებს. უამრავი სოფელი მიწასთანაა გასწორებული. მოსახლეობა უსახლკაროდ და ულუმპაპუროდ დარჩა, მხარეთა ხელმძღვანელები მთავრობის გარდა დახმარებას საერთაშორისო ორგანიზაციებსაც სთხოვენ.

ამ მხრივ არც ახმეტის რაიონი დარჩა გამონაკლისი, ადიღებულმა მდინარეებმა მთლიანად მოშალა ყალგაყვანილობის სისტემა და დაგბორა სახნავ-სათესი ფართობები.

რაიონის გამგებელის **ნუკრი ღუბიანურის** თქმით, გადაუღებელი წვიმების შედეგად ისედაც წყალუხვი მდინარეები ილგო და ალაშანი კალაპოტიდან გადმოვიდა, რასაც ძლიერი სეტყვაც დაერთო, მოსახლეობა ძალიან დაშარალდა, დასეტყვილია ასობით ჰექტარი. მთლიანად მოიშალა სასმელი წყლის სისტემა ალაშნის და ილგოს ხეობის სოფლებში: ხალაწანში, ომალოში, საკობიანოში, ქორეთში, მახვეტილაში და ნადუქნარში. დანგრეულია ახმეტა-თიანეთის ცენტრალური საავტომობილო გზა, ალავერდის და ქორეთის ხიდები. ბევრი სოფელი მოწყვეტილია რაიონს.

ამ დღეებში განმეორებულმა წვიმებმა კი ქისტაურის ხევიც ააღიდა და დააზიანა სასმელი წყლის მილები, რის გამოც სოფელი უწყლოდ დარჩა. მოვარდნილმა წყალმა ვიაბაცა პირუტყვი და ფრინველი, დაგბორა ნათესები, მწყობრიდან გამოიყვანა ელექტროგადამცემი ხაზები, დაანგრია გზები.

მთლიანმა ზარალმა ამ ეტაპზე 1 მილიონ 793 ათას ლარს გადაჭარბა.

სამწუხაროდ, სტიქიამ უმსხვერპლოდ არ ჩაიარა, ტრაგედია დაგრაიალდა ახმეტაში – ლოლაძეების ოჯახში, სადაც ოცი წლის ახალგაზრდა დაიღუპა.

აღგილობრივი მწირი ბიუჯეტის გამო აღდგენითი სამუშაოების ჩატარება ჭიანურდება, ამიგომ დახმარებას ცენტრალურ ხელისუფლებასა და პარლამენტს ვთხოვთ.

მოგეხსენებათ, მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევს. 118.764 ჰექტარზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია გაშენებული, აქედან 3.900 ჰექტარზე – ვენახი, 2.400 ჰექტარზე – ხორბალი, 600 ჰექტარზე – ქერი და 8.520 ჰექტარზე – ბოსტნეული კულტურები. წყალდიდობამ კი ფართობის ნახევარზე მეტი დაგბორა.

დღეს საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალური ფონია, გაჭირვებულ მოსახლეობას სასიკეთო პროგნოზს ვერავინ სთავაზობს. სტიქიამ გლეხს ყოველგვარი იმედი გადაუწურა, ვითარებამ ისე დააბნია, არ იცის, როგორ გაუმკლავდეს ამ ყველაფერს, ნამდვილად აუნაზღაურდება თუ არა ზარალი, ან ნაწილობრივ მაინც თუ შესრულდება მთავრობის დაპირებები, რადგან მისთვის სერიოზულ დახმარებას მწირი ბიუჯეტის მქონე ადგილობრივი გამგეობები ვერ შეძლებენ.

– ახმეტაში რომ მოსახლეობის უმეტესობა სოციალურად მარილაც ძალიან გაჭირვებულია, ეს ყველასთვისაა ცნობილი, – ამბობს ბაგონი ნუკრი, – სტიქიამ კი ვითარება უფრო დაამძიმა. მათ შორის ყველაზე უმწეო და მრავალშვილიანი ოცდაათი ოჯახი გვყავს აღრიცხვაზე, რომელთაც პერიოდულად

ჰუმანიტარულ დახმარებას ვაწვდით. მათ ახლაც 41.811 ლარი გავუნაწილეთ. მარგიდან გაიხსნა „სათნოების სახლი“, სადაც ყოველდღე ოცდახუთ გაჭირვებულ ადამიანს მასპინძლობენ.

ხუთ ადამიანს ნაწილობრივ დავუფარეთ გადაუდებელი ოპერაციისთვის საჭირო თანხა და რამდენიმე ინვალიდს ეტლიც გადავეცით.

მოგეხსენებათ, შირაქის მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, სოფელი კასრისწყალი კი საკმაოდ დაშორებულია რაიონს, მათთვის სამედიცინო დახმარება დიდ პრობლემად იქცა. ამიგომ პერიოდულად ჩაგვყავს ექიმთა ბრიგადა და უფასოდ ემსახურებიან. ამას წინათ სამასი ლარის მედიკამენტებიც გადავეცით.

რაიონის გამგეობა შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებთ, თუმცა ეს მცირეა.

წყლის უდიდესი რესურსის მიუხედავად, ბევრი სოფელი სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის, ამიგომ იქ მკაცრი გრაფიკია განსაზღვარული. არადა, აუზების რემონტისა და მშენებლობისთვის მიზერული თანხებია საჭირო. ამის გამო ხალხი ადგილობრივ ხელისუფლებას გულგრილობაში ადანაშაულებს.

– ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ამ საქმის მოგვარებას. რამდენიმე კვირაში დამთავრდება დუმასტურის წყალსაღენის აღდგენა და ბევრ სოფელს მთლიანად მოეხსენება სასმელი წყლის პრობლემა. უკვე შევაკეთეთ ახმეტაში სტიქიით დაზიანებული წყალსადენი, ასევე სოფელ მატანში წყალსადენის სათავე ნაგებობა. ხოდაშენში, ოქიოსა და ქისტაურში მთლიანად შეიცვალა სასმელი წყლის სისტემა.

წლების წინათ ხადრის პიდროელექტროსადგურის მშენებლობისას ხალხს იმის იმედიც ჰქონდა, რომ რაიონს შექი ოცდაოთხი საათი ექნებოდა. ის კი არადა, ამბობდნენ, კახეთის რეგიონის ნახევარზე მეგს ელექტროენერგიას სრული დაგვირთვით მიაწოდებდნენ. თუმცა ასე არ მოხდა, დენი ახმეტის რაიონის სოფლებს მხოლოდ ხუთი-ექვსი საათით აქვთ.

ეს პრობლემა მხოლოდ აღგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტი არ არის, ვითარება მთლიანად ენერგოსისტემაში უნდა მოწესრიგდეს. ხადორჰესი უცხოელი ინვესტორების საკუთრებაა, მათ კი ჩვენი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ფასები ხელს არ აძლევთ. მოსახლეობა ოცდაოთხსაათიანი გრაფიკის შემთხვევაში თანხის გადახდას ვერ შეძლებს.

ამ პიდროელექტროსადგურის ამუშავებით რაიონის ბიუჯეტში მისი მოგების წილის ანგარიშიდან ნახევარი მილიონი ლარი შემოვიდა, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანების მთლიანად დაფარვას მოხმარდება.

ლელა მანავლიშვილი.

◎ ინფორმაცია

ედპ ხელისუფლებაზე ზეწოლას მოითხოვს

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ (ედპ) მთავარმა კომიტეტმა და პარტიის თბილისის ორგანიზაციამ გუშინ პარტიული აქტივის მობილიზებისა და პერმანენტული საპროტესტო აქციების დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც 24 ივნისს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პარტიის თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა, ამის მიზეზი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც ედპ-ის აზრით, „ქვეყანაში არჩევნების გაყალბებას დაკანონებს“.

ბაჩუკი ქარდავას თქმით, ამ კანონპროექტის მიღებით ხელისუფლება მოსახლეობას არჩევანის საშუალებას არამცვენ, რაც ქვეყანაში დემოკრატიის დასამარების საფუძველი გახდება. გარდა ამისა, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ უმართავი პროცესების განვითარებას პროგნოზირებს და სრულ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

ედპ-ის პარტიული ელიტა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირისა და ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების თავრობებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლისკენ მოუწოდებს, რაც „ეროვნულ-დემოკრატების“ აზრით, დემოკრატიას გადარჩენს.

პოლკოვნიკს სტრასბურგიდან მოსწერეს...

აზსაგემიდან დევნილი საქართველოს მოქალაქე პოლიციის პოლკოვნიკი ბათო სადინაძე საქართველოს ხელისუფლებას სარსაბურის სასამართლოში უჩივის და მოყენებული მორალური და მატერიალური ზარალისათვის 700 ათას ევროს ითხოვს.

როგორც გუშინ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ბათუ სადინაძემ განაცხადა, დევნის მიზეზი მის მიერ ცნობილი ფეხბურთელის, კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის გაგაცვის საქმის გახსნა გახდა, რამაც მოგიერთი ყოფილი და ახლანდელი მაღალჩინოსნის ინტერესების შელახვა გამოიწვია. პოლკოვნიკ სადინაძის მტკიცებით, კალაძის გაგაცვის საქმის კვალის მოსპობაში ყველაზე მეტად დაინტერესებულია თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრი, ყოფილი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი და მს მინისტრის მოადგილე ლევან გვაშავა. სადინაძე მათ პირად დევნა-შევიწროებაში ადანაშაულებს, რაც ყოფილი პოლიციელის განმარტებით, ჯერ კალაძის გაგაცვის საქმის გამოძიებიდან მის ჩამოცილებაში, ხოლო შემდეგ მისი და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი სახლიდან გამოძევებაში გამოიხატა.

როგორც სადინაძე ამტკიცებს, 2003 წლის რევოლუციის შემდეგ, ახლადდანიშნულმა მს მინისტრმა გია ბარამიძემ მას პრეზიდენტის სახელით კალაძის ძმის გაგაცვებს გარემოებების გამოძიება დაავალა. მისი თქმით, სამთვიანი გამოძიების შედეგად მან გახსნა საქმე და დაადგინა, რომ ეს გაგაცება უკავშირდებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამეფებულ მაფიოზურ დაჯგუფებებს და საერთაშორისო კრიმინალურ ავტორიტეტებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მყოფ ჩინოვნიკებთან.

8 ივნისს სადინაძემ სტრასბურგიდან ოფიციალური შეტყობინება მიიღო, იმის შესახებ, რომ ევროსასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო.

ჩვენ ზღვას კიდევ დაბინძურება უნდა?

ბათუმმა, მდინარე ბარცხანის შესართავთან, მავ ზღვაში ნავთობის ჩაღვრა მილსადენზე მომხდარმა ავარიამ გამოიწვია. აღნიშნული მილსადენით ბათუმის პორტიდან ნავთობბაბაში ნავთობის გადაქაჩვა ხდებოდა. გაკეთდა, სავარაუდოდ, ამორგიზებულმა მილსადენმა გამოიწვია. 24 ივნისისთვის ავარია ლოკალიზებული იყო.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენლების განცხადებით, ზღვიდან წყლის სინჯები უკვე აღებულია, რისი დამუშავების შემდეგაც დადგინდება რა რაოდენობის ნავთობი ჩაღვრილი ზღვაში. თუმცა, მათივე თქმით, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე, უკვე შესაძლებელია პროგნოზირება, რომ მავ ზღვაში ჩაღვრილი ნავთობი ეკოლოგიურ პრობლემებს ვერ შექმნის.

მილსადენზე მომხდარი ავარიის გამო, შესაძლოა, დაისვას ბათუმის ნავთობბაზის გენერალური დირექტორის ჯოელალ ქიქავას პასუხისმგებლობის საკითხი. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის ირაკლი გორაძის განცხადებით, ქიქავას პასუხისმგებლობის საკითხი მავ ზღვაში აღებული სინჯების პასუხზე იქნება დამოკიდებული, რომელიც, სავარაუდოდ ერთ კვირაში გახდება ცნობილი. გორაძე ქიქავას წინააღმდეგ არც სისხლის სამართლის საქმის აღძვრას გამორიცხავს.

ინტერპრესნიუსი.

◎ გამოცდების წინ

ივლისის „ხვატსა“ და „ციებ-ცხელებამდე“ ცოტაღა დარჩა

პირველ ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ორიოდ კვირა დარჩა. დღეს გაგცნობთ ამ საგამოცდო მარათონისწინა რამდენიმე მოსამზადებელ ეგაპს.

როგორც ვიუწყებოდით, 19 ივნისს ფოთის ნავსადგურში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის კომბრიჯის უნივერსიტეტში დაბეჭდილი ტესტური დავალებებით დატვირთული კონტეინერი ჩამოვიდა. 24 ივნისიდან დაიწყო ტესტების განბაჟებისა და ეროვნული ბანკის ცენტრალური და რეგიონული ოფისების სპეცსაცავებში მათი შენახვის პროცედურა.

ტესტები ეროვნული ბანკის ფილიალების სპეცსაცავებს შემდეგი სქემის მიხედვით მიეწოდება:

ფოთის პორტიდან ისინი გაიგზავნება ეროვნული ბანკის ფოთის ფილიალში. აქედანვე მიიღებენ მათ ეროვნული ბანკის ბათუმის, ქუთაისის, ახალციხის და ჯორის ფილიალები და ეროვნული ბანკის თბილისის სათავო ოფისიც, ამ უკანასკნელიდან კი – ეროვნული ბანკის გურჯაანის ფილიალი.

ტესტური დავალებები საგამოცდო ცენტრებს გამოცდების დაწყებამდე 1 საათით ადრე მიეწოდებათ. ეროვნული ბანკის ოფისებში ტესტები შემდეგი სქემით შეინახება. (იხ. ცხრილი).

პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაგარების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო შტაბის მუშაობაში მონაწილე სამთავრობო უწყებები შემდეგ ღონისძიებებს განახორციელებენ:

შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს საგამოცდო ცენტრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. 8 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით (გამოცდების დასრულებამდე) ყველა საგამოცდო ცენტრში დაცვის გაძლიერებული რეჟიმი იმოქმედებს. საგამოცდო ცენტრებში 4-დან 11 ივლისამდე გაგრძელდება ინვენტარის შეგანისა და სამეთვალყურეო აპარატურის მონტაჟი.

ამ სამუშაოებს, დაცვის რეჟიმის შემოღების შემდეგ, განახორციელებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებს გადამზიდავი საშუალებები საპატრულო პოლიციის მანქანების თანხლებით გადაიგანენ ფოთის ნავსადგურიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალების საცავებამდე, საცავებიდან – საგამოცდო ცენტრამდე, ხოლო გამოცდების ჩაგარების შემდეგ – საგამოცდო ცენტრებიდან **თბილისის გეგელიას სახელობის ფიზიკა-მეთემატიკურ სკოლა-ინტერნატამდე, სადაც განთავსდებიან ტესტების გასწორების ცენტრი და ერთიანი ეროვნული გამოცდების პრესცენტრი.**

ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო თითოეული საგამოცდო ცენტრისთვის გამოყოფს ორ ექიმს სათანადო სამედიცინო აღჭურვილობით, ასევე უზრუნველყოფს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების მორიგეობას საგამოცდო ცენტრებთან.

საბაჟო დეპარტამენტი ვალდებულებას იღებს, როგორც ტესტების, ასევე სამეთვალყურეო აპარატურისა და გამოცდებისთვის აუცილებელი სხვა ორგანიზაციის განბაჟების დაჩქარებულ პროცედურაზე.

მბილისის მერია ზრუნავს თბილისის გეგელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის კომუნალურ მოწყობასა და მიმდებარე ტერიტორიის გარემონტებაზე.

სამხარეო ადმინისტრაციები და გამგეობები საგამოცდო ცენტრებს უზრუნველყოფენ სათანადო აპარატურით (ტენერატორი, მეგაფონი); ახორციელებენ სახანძრო მანქანების მობილიზებას და სოფლებიდან ავტობუსის რეისების დროზე აღრე დანიშნას, რათა აბიტურიენტებმა შეუფერხებლად შეძლონ ცენტრებამდე დროულად მისვლა, უზრუნველყოფენ საგამოცდო ცენტრების წინ დამცავი ბარიერების განთავსებას და ცენტრებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგებას.

წარმატებებს ვუსურვებთ პირველ ერთიან ეროვნულ გამოცდასა და მის თითოეულ მონაწილეს!

კახაბერ ჩემია.

ეროვნული ბანკის ოფისი	საგამოცდო ცენტრი	ცენტრის მისამართი
ცენტრალური ოფისი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კოსტავას 77
ცენტრალური ოფისი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის 1
ცენტრალური ოფისი	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	აღმაშენებლის ხეივანი
ქუთაისის ოფისი	ქუთაისის ოკტენის სახ. გიმნაზია	გ. ტაბიძის 22
ქუთაისის ოფისი	ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტი	თამარ მეფის 59
ბათუმის ოფისი	ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნინოშვილის 35
ფოთის ოფისი	ფოთის მე-5 საშუალო სკოლა	მიქაბერიძის 5
ფოთის ოფისი	ოზურგეთის მე-2 საშუალო სკოლა	გაბრიელ ეპისკოპოსის 9
ფოთის ოფისი	ზუგდიდის სპორტსკოლა	ჯანაშიას 1
გორის ოფისი	გორის მე-7 სკოლა	გორგასლის 1
გურჯაანის ოფისი	თსუ სიღნაღის ფილიალი	ე. ბეგანიშვილის 26
გურჯაანის ოფისი	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის 1
ახალციხის ოფისი	თსუ ახალციხის ფილიალი	რუსთაველის 91
ცენტრალური ოფისი	ქ. რუსთავის მე-4 საშუალო სკოლა	ლეონიძის 26

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ევგენი პრიმაკოვი:

„უბრალოდ, ჯანსაღმა აზრმა გაიმარჯვა“

ამ დღეებში გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ერთ-ერთ ნომერში (№ 135) გამოქვეყნდა ცნობილი რუსი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის ევგენი პრიმაკოვის ვრცელი ინტერვიუ, რომლის გარკვეული ნაწილიც ეხება საქართველოს. გთავაზობთ ამ ამონარიდს ზემოხსენებული ინტერვიუდან.

– რუსეთის ბაზების გამოგანა საქართველოდან ბიანს ხომ არ მიაყენებს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს?

– აბსოლუტურად არანაირს. სტრატეგიული თვალსაზრისით, ამ ბაზებს ჩვენთვის მიზერული მნიშვნელობა ჰქონდა.

– მაშინ, რაგომ ვეწინააღმდეგებოდით ასე ამ ბაზების გამოგანას?

– ვფიქრობ, რომ ჩვენი ბრძოლა ბაზების გამოგანის ვადის რაც შეიძლება შორს გადაწევისთვის, არ იყო მთლად გამართლებული. ხოლო ის, რომ ჩვენ ახლა გადაწყვიტეთ მკვეთრად შეგვემცირებინა ბაზების გამოგანის ვადა, სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ მოვახდინეთ კაპიტულირება ან დავემორჩილეთ რაღაც ზემოქმედებას. უბრალოდ, ჯანსაღმა აზრმა გაიმარჯვა.

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ საქართველოში მალე არ გამოჩნდება ამერიკელთა სამხედრო ბაზები?..

– ვფიქრობ, რომ ახლა ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერავინ გაბედავს. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვეთრად გაუარესდება საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან. მაგრამ ამისთვის არანაირი წანამძღვრები არ არსებობს.

– განა არ არის შესაძლებელი, რომ თბილისთან ურთიერთობა მკვეთრად გამწვავდეს აფხაზეთის გამო? ჩვენ ხომ კვლავ, ფაქტობრივად, მხარს ვუჭერთ აფხაზებს?

– ჩვენ არასდროს არ გვითქვამს, რომ არ ვაღიარებთ საქართველოს ტერიგორიულ მთლიანობას. კონფლიქტის მოგვარება უშუალოდ არის დამოკიდებული თბილისის მოქნილ პოზიციაზე. როცა მე ვიყავი საგარეო საქმეთა მინისტრი, არძინბა ერთხელ დათანხმდა ჩვენს მიერ შეთავაზებულ ფორმულას, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი დარჩებოდა 1991 წლის 1 იანვრისთვის დაფიქსირებულ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა იმას, რომ სოხუმი აღიარებდა საქართველოს ტერიგორიულ მთლიანობას. მაგრამ შევარდნაძემ მაშინ განაცხადა: „დაე, აფხაზები საერთო კონსტიტუციასაც დათანხმდნენ“. ჩვენ ვცდილობდით, მისთვის განგვემარგა, რომ ორი მხარე ეომებოდა ერთმანეთს და ამიგომაც, ისინი საზავო ხელშეკრულების დადების დროს ორ ცალკე მხარეს წარმოადგენენ, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ასეთი ხელშეკრულება რომ დადებულიყო, იგი გახდებოდა უმაღლესი საკონსტიტუციო აქტი. საქართველომ და აფხაზეთმა კი, ჩემი აზრით, თავ-თავიანთი კონსტიტუციებიდან უნდა ამოიღონ ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულებას.

– ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნა, თქვენი აზრით, დარტყმას აყენებს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს?

– გარკვეულწილად ეს ასეა. თუმცა, ჯერჯერობით, ნავთობი საკმარისია როგორც ამ მილსადენისთვის, ისე ჩვენი, ნოვოროსიისკის ნავთობსადენისთვის, მაგრამ კონკურენტი-მილსადენის გამოჩენას დიდი აღფრთოვანებით არ უნდა შევხვდეთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი იმთავითვე შენდებოდა არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებით. არადა, გაცილებით უფრო იაფი იქნებოდა კასპიის ნავთობის გადატვირთვა ნოვოროსიისკიდან.

◎ ფეხბურთი

ლიგას ესტონეთით ვიწყებთ

გუშინ შვეიცარიის პატარა ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში მთელი ევროპული საფეხბურთო ელიტა შეიკრიბა – მოეწყო პოპულარული საკლუბო ტურნირების კენჭისყრა, რომელმაც ქართული გუნდების მეტოქენიც გამოავლინა.

იერარქიის შესაბამისად, თავიდან ჩემპიონთა ლიგაში დაწყვილდნენ მონაწილენი და ჩვენც ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობით დავიწყებთ საუბარს.

ფორტუნამ ინება, რომ საქართველოს თორმეტგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ გთამაშებაში გალინის „ლევადიასთან“ ორრაუნდიანი დუელით ჩაებმება. პირველ შეხვედრას 12 ივლისს ესტონეთის დედაქალაქი უმასპინძლებს, ერთი კვირის შემდეგ კი ბალგიისპირელები აქეთ გვეწვევიან.

გუშინდელ „ლაგარეას“ დინამოელთაგან კლუბის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე, ტექნიკური დირექტორი ამირან ღიბრაძე და ადმინისტრატორი გია იმნაძე ესწრებოდნენ. ესტონური ფეხბურთის ბოლოდროინდელი პროგრესის გათვალისწინებით, იოლი გასეირნება ნამდვილად არ გვექნება, თუმცა სასაყვედურო არაფერი გვაქვს – კალათიდან უფრო ძლიერი მეტოქის „ამოღებაც“ შეიძლებოდაო – ასეთია მათი პირველი კომენტარი, რომელსაც ძნელია არ დაეთანხმო. სამაგიეროდ, გაცილებით რთული ბრძოლა გველის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე (რასაკვირველია, ესტონელებთან წარმმგების შემთხვევაში) – ამჯერად გამომცდელად დანიის „ბრონდბიუ“ გვეყოლება, რომელიც კონტინენტზე სოლიდური კლუბის რეპუტაციით სარგებლობს, თანაც, პირველი მაგჩი თბილისში უნდა გაიმართოს 26 ივლისს (საპასუხო 2 აგვისტოს).

იმასაც გაუწყებთ, რომ მომავალი პასუხსაგები ბაგალეიბისთვის მზადება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებმა გერმანიაში რუიგის გარნიზონში ბაბაზე საწვრთნელი შეკრებითა და ამხანაგურ თამაშში იქაური რეგიონალლიგის წარმომადგენლის – „ფორცკაიმის“ განადგურებით დაიწყეს – 5:1. ეოლები დვალიშვილმა, ორბელაძემ, ალადაშვილმა, ბაბუნაშვილმა და ბობოხიძემ გაიგანეს.

* * *

ასევე გასვლითი მაგჩებით დაიწყებენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის კლუბები უეფას თასზე. კერძოდ, თბილისის „ლოკომოტივი“ 14 ივლისს სომხეთში „ბანანცს“ შეხვდება, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ ამავე დღეს ბელორუსიაში ჩვენს ძველ ნაცნობს – „ბაგეს“ ეთამაშება.

საპასუხო რაუნდი 28 ივლისს მოეწყობა.

◎ ახალგაზრდული თამაშები

„კლასიკოსთა“ ტრიუმფი

მოსკოვში (მოსკოვის ოლქი) გრძელდება ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტული თამაშები, რომელშიც საქართველოს სპორტსმენებიც მონაწილეობენ. სამბისგების შემდეგ შესანიშნავად იასპარეზეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა. „კლასიკოსთა“ ანგარიშშეა 7 მედალი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: რევაზ ღამბი (55 კგ) და შმაგი სახლთხუცეშვილი (74 კგ). მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს აკაკი ჯოხაძემ (84 კგ) და ოთარ ბოლქვაძემ (მძიმე წონა). ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ: თორნიკე ჯანელიძე (60 კგ), მარად სურმანიძე (66 კგ) და გივი მორჩილაძე (96 კგ). ხელი მოეცარა ლევან კირკიტაძეს (50 კგ).

ღირსეულად ჩაებნენ პაექრობებში ჩვენი ძიუდოისტებიც. ლაშა ტვილდიანმა (55 კგ) ოქროს მედალი დაიმახურა, დავით ასუმბასს (60 კგ) ვერცხლის მედალი ხვდა. გოგონებში „ბრინჯაოსთვის“ გამართული შეხვედრა წააგო ნინო ბიჩინაშვილმა და საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავიდა.

წინა მსგავს შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტსმენებმა 13 მედალი მოიპოვეს. ამჯამად ეს შედეგი გაუმჯობესებულია – ჩვენი ქვეყნის სპორტულ ყუალაბაში უკვე 16 მედალია, მათ შორის 5-5 ოქრო-ვერცხლისა და 6 ბრინჯაოსი. ნადავლის მოხვეჭის შანსი კიდევ გვაქვს, რადგან ორთაბრძოლები ჯერ არ დაუმთავრებიათ ძიუდოისტებს და კალათბურთელებს, დღეს კი მძლეოსნებსა და ტანმოვარჯიშეებსაც ვიხილავთ სარბიელზე.

გიორგი გაგუა

წყალდიდობას 500-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა

ჩინეთში წყალდიდობას ემსხვერპლა 536 ადამიანი. ქვეყნის დაახლოებით 1,4 მილიონი მოქალაქე სგიქიამ უსახლკაროდ დაგოვა.

ჩინეთის სახელმწიფოს საინფორმაციო სააგენგოს სინხუას მონაცემებით, მაგერიალურმა ზარალმა შეადგინა 11 მილიარდი იუანი (1,3 მილიარდი დოლარი).

კოკისპირული წვიმები წელს ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო ქვეყნის ტერიგორიის უმეტეს ნაწილზე. ყოველივე ამის შედეგად ჩინეთის სამხრეთი რაიონები წალეკა ტალახის ნაკადმა და ღვარცოფმა.

ყველაზე მეგად დაზარალდნენ გუანხის და გუანდუნის პროვინციები, აგრეთვე, 300-ათასიანი ქალაქი ვუჯოუ, სადაც წყალმა შენობების ზედა სართულებიც კი დგბორა.

როგორც სგატისგიკოსები აცხადებენ, წყალდიდობამ ყველაზე დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანას ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, თუმცა, ჩინეთის უახლეს ისგორიაში ეს საგალალო რეკორდი ეკუთვნის 1988 წელს, როცა წყალდიდობის შედეგად ქვეყანაში დაიღუპა 4150 კაცი.

და მაინც, ხელისუფლება შიშობს, რომ სგიქია ახალ უბედურებას დაატეხს თავს ქვეყანას.

წყალდიდობები ჩინეთში ხდება ყოველწლიურად. ხშირად ამ უბარმაზარი ქვეყნის ერთ რაიონს უდიდეს ზარალს აყენებს ტროპიკული წვიმები, მეორე რაიონში კი იმ მომენგისთვის გვალვაა.

წლეულსაც ჩინეთის სამხრეთ ნაწილს დაატყდა თავს წყალდიდობა, ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ანჰოის პროვინციაში კი დაფიქსირდა რეკორდული გვალვა.

იტალიელი მემარჯვენეები მოქალაქეთა დასაჭურისებას მოითხოვენ

იტალიის „ჩრდილოეთ ლიგის“ ულტრამემარჯვენე პარტიამ მომზადა კანონპროექტი ქვეყნის პარლამენტში განსახილველად, რომლის ავტორებიც მოითხოვენ, რომ გაუპატიურებაში ბრალდებული მამაკაცები დასაჭურისონ.

ამ ინიციატივას წინ უძღოდა გაუპატიურებათა სერია ჩრდილოეთ იტალიაში, რომელშიც ეჭვმიტანილები არიან რუმინეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან შემოსული არალეგალური იმიგრანტები, მაგრამ იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯუზეპე პიზანუმ უკვე აღნიშნა, რომ იმიგრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულობები არანაირ გავლენას არ იხდენს რომის საიმიგრაციო პოლიტიკაზე.

„ჩრდილოეთის ლიგა“, რომელიც იმიგრაციის წინააღმდეგ ილაშქრებს, ქვეყნის სამ პარგიასთან ერთად შედის იტალიის კოალიციური შემარჯვენე-ცენტრისტული მთავრობის შემადგენლობაში.

„ლიგის“ მიერ შეთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს მოძალადეთა ქიმიურ ან ქირურგიულ კასტრაციას, რაც, დოკუმენტის ავგორთა აზრით, ხელს შეუწყობს იმ „სოციალური დაავადების განკურნებას, რომელიც ემუქრება მოქალაქეთა სიცოცხლეს და საზოგადოებრივ უშიშროებას“.

„ჩემი აზრით, აუცილებელია შემოვიღოთ ქიმიური კასტრაცია სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობათა გამო სასჯელის სახით, – განაცხადა პარგიის წარმომადგენელმა მთავრობაში რობერტო კალდეროლიმ, – თუმცა, პირადად მე ვფიქრობ, რომ ქირურგიული ოპერაცია უკეთესი იქნება“. გარდა ამისა, კალდეროლიმ მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ დაატყვინონ იტალიის ტერიგორიი ყველა არალეგალურ იმიგრანგს, და დასძინა, რომ „ამ მიზნის მისაღწევად უნდა ამოქმედდეს უშიშროების მთელი ძალები“.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ საკანონმდებლო ინიციატივას მკაცრად აკრიტიკებენ და, მას პარლამენგი, ალბათ, არ მიიღებს.

„ჩრდილოეთ ლიგის“ ასეთი წინადადება უპრეცედენგო არ არის: აპრილში კენიის პარლამენგმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ქვეყნის კანონმდებლობის გადასინჯვას ახალი წინადადებების შესაბამისად, რომელთა შორის იყო წინადადება მსჯავრდებული მოძალადეების კასტრირების შესახებ.

სავალალო სტატისტიკა

რუსეთის სახელმწიფო სგატისტიკის ფედერალური სამსახური იტყობინება, რომ ძალზე დაჩქარდა ქვეყნის მოსახლეობის რიცხვის შემცირების ტემპი.

გავრცელებული მონაცემებით, ყოველ საათში რუსეთის მოქალაქეთა რიცხვი 100 კაცით მცირდება.

გაეროს განვითარების პროგრამა აღნიშნავს, რომ საუკუნის 50-იანი წლებისთვის, რუსეთის მოსახლეობა შეიძლება მესამედით შემცირდეს. როგორც რუსეთის სახელმწიფო სგატისტიკის სამსახური აცხადებს, ქვეყნის ეკონომიკაში ვითარების გაუმჯობესება ჯერჯერობით არ აისახება შობადობაზე, რომელიც ისტორიული მინიმუმის დონემდეა დასული.

ამ ბოლო წლების განმავლობაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ მოქალაქეთა რიცხვი რუსეთში ერთიორად შემცირდა, თუმცა, ქვეყნის უმეტეს რეგიონებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაინც აღემატება შობადობისას.

მაგრამ, დასავლელი დემოკრატების დაკვირვებით, ეს გენდენცია დასაბამს იღებს ჯერ კიდევ საბჭოური დროიდან – 1960-იანი წლებიდან.

პრობლემის გადასაჭრელად არსებობს მრავალი საშუალება – რომელთაგან ერთ-ერთი თვით მრავალცოლიანობის შემოღებასაც კი ითვალისწინებს. არის ასევე წინადადება რუსეთში მიგრანგთა ნაკადის სგიმულირების შესახებ. სწორედ ამ ვარიანგს ჰყავს უამრავი მომხრე დასავლეთის ქვეყნებში, სადაც შეინიშნებოდა სამუშაო ძალის დეფიციგი. მაგრამ რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობისთვის მასობრივი იმიგრაცია მიუღებელია.

მიმდინარეობს შპს „სატელეკომუნიკაციო ინიციატივას“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას ტელეფონზე: 21-02-20.
სალიკვიდაციო კომისია.

მიმდინარეობს შპს „სელკომ-პლუსის“ ლიკვიდაცია.
დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას ტელეფონზე: 21-02-20.
სალიკვიდაციო კომისია.

◎ ადამიანი დროში

ჭიდაობისთვის თავის დანებება ახლოგლეგმა გადააფიქრებინეს

გასულ უქმეებზე თბილისის სპორგის სასახლეში სახელოვანი ფალავნის – გივი კარგაზიას ხსოვნის საერთაშორისო გურნირზე მძიმეწონისანთა პაექრობაში ოქროს მედალი მირიან ბზორგაძემ მოიპოვა.

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საშანოში იმრდებოდა. ბიჭები იქაური სგადიონის ნახერხმოყრილ სარბიელზე ხშირად ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს. მირიანი გოლეებში ჯანით გამოირჩეოდა. მამის ალი-კვალიაო, ამბობდნენ მეზობლები. მამა კი თავისუფალი სგილით მოჭიდავე გახლდათ. მარლენ ოსეყმაშვილთან ვარჯიშობდა ჭაბუკობისას და საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა.

სოფელში ჭიდაობისთვის სათანადო პირობები არ იყო, ამიგომ ბაბუამ 13 წლის მირიანი თბილისში წამოიყვანა.

– ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვაკა კრავეიშვილთან დავიწყე ვარჯიში, – იხსენებს მისრიანი, – მამიდასთან ვცხოვრობდი და ხელშეწყობა არ მაკლდა. დარბაზში ბიძას – კაკო გვარუდეკის დავყავდი. სპორგისადმი ინგერესს ისიც მიორკეცებდა, რომ ჩემი მამიდაშვილებიც სპორგსმენები იყვნენ. ლაშა ფეხბურთელია, ზესგაფოსნში თამაშობს. კახამ თავისუფალ ჭიდაობაში 4 წელი იავარჯიშა, თუმცა, მერე თავი დაანება. ბიძაჩემმა მითხრა, ორივეს მაგივრობა შენ უნდა გაწიოო...

მირიანი პირველი ღლეებიდანვე, მართლაც გულმოდგინედ ირჯებოდა. მალევე მიაღწია წარმგებას – კადეგებსა და იუნიორებში საქართველოს პირველობა რამდენჯერმე მოიგო. 1992 წელს ჩვენმა ჭაბუკებმა პირველად ისპარეზეს დამოუკიდებლად სგამბოლში მსოფლიო პირველობაზე. მირიან გიორგაძემ (გარიელ მელელაშვილმა და ბესარიონ ზურაბიანმაც) ოქროს მედალი დაიმსახურა. 1993 და 1995 წლებში, შესაბამისად, ახალგაზრდების ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე II ადგილები დაიკავა. 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონაგზე მეოთხე იყო, რითაც სიდნეის ოლიმპიური თამაშების საგზურიც მიიღო.

ავსგრალიიდან დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთ შეჯიბრებაზე მძიმე გრავმა მიიღო და ორი წელიწადი არ უჭიდავია. 2003 წელს დაუბრუნდა ხალიჩას და რამდენიმე ტურნირიც მოიგო, მსოფლიო თასზე კი მესამე ადგილი დაიკავა. 2004 წელს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც მოიპოვა.

– ოლიმპიადისთვის კარგად მოვემზადეთ, თუმცა, რა? ათენში პირველად შვედ ედი ბენგსგონს შევებრძოლე, ერთ-ერთ ფანდზე გამომიჭირა და სამი ქულა ამართვა. ედი გამოცდილი მოჭიდავეა და უპირაგესობის შენარჩუნება არ გასჭირვებია, – მეუბნება მირიანი – მეორე შეხვედრაში ყაზახეთის სახელით მოასპარეზე გიორგი წურწუმია დავამარცხე. იგი ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი და 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონაგის მესამე ადგილზეა. ათენში ჩვენი ქვეჯგუფიდან გიორგი გაეიდა მომდევნო ეგაპზე, რადგან მე ბერძენ ქსენოფონ კოსგიუბასთან წავაგე. ფინალი წურწუმიამ ბარაევთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა...

მარშან წლის მიწურულს მირიან გიორგაძემ როგორც პირადში, ისე ეუნდურში მსოფლიო თასი დაიმსახურა. წლეულს თებერვალში ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, აპრილში კი ევროპის ჩემპიონაგზე, რომელსაც ვარნამ უმასპინძლა, ბრინჯაოს მედალი ხვდა.

– ჯგუფში ყველა მეგოქე დავამარცხე, ნახევარფინალში წავაგე არგიუხანთან, რომელიც მერე ევროპის ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილისთვის გამართულ ორთაბრძოლაში ბერძენ ქსენოფონ კოსგიუპასს ვძლიე და ათენში დამარცხებისთვის რევანში ავიღე. ობიექგური მსაჯობა რომ ყოფილიყო, მას ალბათ, ოლიმპიადაზეც დავამარცხებდი.

– ხშირად დაგწყვეგია გული?

– ჭიდაობაში, მოგეხსენებათ, მჯობნის მჯობნი არ დაილევა, მაგრამ ზოგჯერ ისეთ შეხვედრას წააგებ, მთელი ცხოვრება სანანებლად გრჩება. ასე იყო 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონაგზე, როცა „ბრინჯაოსთვის“ პაექრობა ისრაელის წარმომადგენელ იური ევსეიჩიკთან დავთმე. არადა, მაშინაც კარგად ვიყავი მომზადებული. უბრალოდ, გამოცდილება არ მეყო.

– სამომავლოდ რას აპირებ?

– ათენის ოლიმპიადის შემდეგ ჭიდაობისთვის თავის დანებება მინდოდა, მაგრამ ახლობლებმა და მეგობრებმა გადამაფიქრებინეს. მწვრთნელების მადლობელიც ვარ. სწორედ მათი რჩევით შემოვრჩი ხალიჩას. გულმოდგინედ განვაგრძე წვრთნა და, ალბათ, დამერწმუნებთ, ურიგო შედეგიც მიმღია – აგერ გივი კარგიშიას ტურნირზე მესამედ გავიმარჯვე. ყოველივემ ძალა, ენერგია და, რაც მთავარია, რწმენა შემმატა. ჯერ 29 წლის ვარ, ამიგომ პეკინის ოლიმპიადაზეც დავიწყე ფიქრი. იქნებ, მესამე ცდა იღბლიანი გამოდგეს.

ღმერთმა ქნას, ჩვენო მირიან!

ვაჟა დანელია.

სურათებზე: მირიან გიორგაძე კვარცხლბეკზე; ჭიდაობის მომენტი.

აუდიტორული დასკვნა
შპს კბ „კავკასიის განვითარების ბანკის“ თბ ფილიალი
2004 წლის ფინანსური ანგარიშების შესახებ

აუდიტორი კომპანია „ჯჯს აუდიგის“, რომელიც მოქმედებს საქართველოს პარლამენგთან არსებული აუდიგორული საქმიანობის საბჭოს მიერ 1999 წლის 05 ნოემბერს გაცემული საბანკო აუდიგის ლიცენზია №053 საფუძველზე. კომპანიის დირეგორის ნ. დათუნაშვილის და აუდიგორის შ. ნარიმანიძის (სერგიფიკაგი საბანკო აუდიგში №3/146) სახით, შპს „კავკასიის განვითარების ბანკის“ თბილისის ფილიალის დირექტორის ნ. გურბანოვის 2004 წლის ხელშეკრულების №01/12 15 დეკემბრის პირობების გათვალისწინებით.

ჩვენ მოვახდინეთ შპს „კავკასიის განვითარების ბანკის“ თბილისის ფილიალის ბალანსის და თან დართული მოგება-ზარალის უწყისის და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის აუდიგი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ ბალანსზე და ფინანსური შედეგების ანგარიშში მოგანილ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ბანკის დირექტორაგი, შემოწმება ჩაგარდა წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენი აუდიგის საშუალებით აზრი გამოვხაგოთ წარმოდგენილ ბალანსზე და ფინანსური შედეგების ანგარიშზე, შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

1. ბუღალგრული აღრიცხვისა და ანგარიშგების აუდიგი.
2. საგადასახადო დისციპლინის აუდიგი.

აუდიგორული შემოწმება ჩვენს მიერ დაგეგმილი იყო და მიმდინარეობდა აუდიგორული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის და საერთაშორისო სგანდარგების შესაბამისად. ჩვენ მოგვეთხოვება აუდიგის დაგეგმვა და ჩაგარება, რათა მგკიცედ დავრწუნდეთ იმაში, რომ ეს საფინანსო ანგარიშები დაზღვეულია შეცდომა-უზუსგობისგან. ჩვენი რწმენით, ეს აუდიგი მყარ საფუძველს იძლევა ამ დასკვნისთვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უგყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „კავკასიის განვითარების ბანკის“ თბილისის ფილიალის ფინანსურ მგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას საანგარიშგებო წლისთვის და გავცეთ მასზე პირობითი დასკვნა.

„ჯჯს აუდიგის“ დირექტორი
ნ. დათუაშვილი.
აუდიგორი:
შ. ნარიმანიძე.
28.03.05 წ.

განცხადება

შპს „საზოგბურთო კლუბ „დინამოს“ პარგნიორთა კრების მოწვევის შესახებ

2005 წლის 5 ივლისს 18 საათზე, ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. №2-ში ადმინისგრაციული შენობის მე-2 სართულზე სხდომათა დარბაზში მოწვეულია შპს „საზოგბურთო კლუბ „დინამოს“ პარგნიორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2004 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანგარიში;
2. დირექციის მუშაობის შეფასება (2002-2003 წ. წ.);
3. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეგანა:
   ა) სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება;
   ბ) პარგნიორთა მიერ წილების გასხვისება.
4. პარგნიორთა მიერ საზოგადოების წინააღმდეგ სასამართლოში შეგანილი სარჩელების განხილვა;
5. სხვადასხვა.

საზოგადოების პარგნიორთა დასწრება სავალდებულოა.

კრებას იწვევს ფ. ს. კ. „დინამო“ საწესდებო კაპიგალში წილის 40 პროცენგის მფლობელი.

საქართველოს ფიზკულგურულ-სპორგული კლუბი „დინამო“.

განცხადება

მოქალაქე ბადრი წილოსანს დაეკარგა ამონაწერი საჯარო რეესგრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ. გაცემული 13.02.2003 წელი ქ. რუსთავში. განაცხადის რეგისგრაციის №5355/03 მპოვნელს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელ: 877 43-31-13.

№ 149. შაბათი, 25 ივნისი, 2005 წელი.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №16

მვირფასი საფლავები

"მესაფლავევ, შენ ამბობ, რომ...

"ჩამოდგები ძეხრიტეხი ხუნკოვეთ მიდგენილ ხეტრიანეკოთ — ჩოფენეთა დოვეს ფეხის ნიგნოკეში გინკეთონ ტოხმეს. ნეკი ნეკს მიხლოდეს, ხოფეფენე ხოფეფენეს. ძეხრიტეხი ხუნკოვეთმა მეკალმეფოდ იგინეთა ნეკენი ქვეყანონ... ალმენეფლინეფენეკ ეკერთმა ნეკენს ძეხრიტეს ხუნკოვეთმე ალ ჩიქ ფეფენი ეკერთმა, მიმ ფეფენი ეგინეთლეს ხოფეფენეკ ან ამ ხუნკოვეთხოდმი..."

25 ივნისი გალაკტიონის დღედ გამოცხადდა, მაგრამ აღარავის ახსოვს...

მწერლის ჩანაწერებში ისევე, როგორც მისივე ბიოგრაფიაში, ისტორიული კონტექსტის ძიება, ალბათ, ისეთივე ილუზიაა, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებში ავტორის ცხოვრების ზუსტი გზის და აღსასრულის ამოცნობა.

„მესაფლავევ, შენ ამბობ, რომ
ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
მივიწყებულ არსთა ძვლები
ყოველ ჩვენგანს ავიწყდება...“

სავარაუდოა, რომ გალაკტიონს, არასოდეს უსაუბრია ამ ფილოსოფიურად განწყობილ მესაფლავესთან და ლექსშიც დიალოგის დოკუმენტურობას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. აქ სხვა რეალიებია საგულისხმო – **პოეტის და მკითხველის დამოკიდებულება სიკვდილსა და სიცოცხლესთან.**

გალაკტიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ გამოძიების მასალებში წერია: **„1959 წლის 17 მარტს, 18 საათზე ჯანდაცვის სამმართველოს საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან გადმოვარდა ავადმყოფი გალაკტიონ გაბაიძე, რომელიც იქვე გარდაიცვალა“**. – ეს გახლავთ დოკუმენტურობის კიდევ ერთი რიგითი და ამაზრზენი მაგალითი, რასაც არაფერი აქვს საერთო პოეტის ამქვეყნიდან წასვლის ნამდვილ მიზეზთან. დოკუმენტში საერთოდ არ ჩანს ვინ არის გალაკტიონი... ის „ლეჩკომბინატის“ ჩვეულებრივი პაციენტია, – „ავადმყოფი გალაკტიონ გაბაიძე“...

მიუხედავად ყველაფრისა, გალაკტიონმა თავისი სიკვდილით, კიდევ ერთი სამუდამო გამოცანა დაგვიტოვა, საკუთარ მეტაფორასავით აუხსნელი.

„რომელი სცნობს შენს სახეს,
ან ვინ იგყვის შენს სახელს,
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს
ვინ დაიჯერებს...“

ზუსტად 41 წლის შემდეგ, 2000 წელს, გალაკტიონ გაბაიძის პოეზიის მოყვარულთა საზოგადოება „ეფემერა“ შუამდგომლობს სრულიად საქართველოს პატრიარქთან, პოეტის საფლავზე ქრისტიანულად წესის აგების თხოვნით, ვინაიდან გალაკტიონი აღიარებულია, როგორც თავისმკვლელი და კანონიკური მართლმადიდებლური ეკლესია თვითმკვლელებზე არ ლოცულობს და არც რაიმე რიტუალს აგარებს.

* * *

„სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს

თქვენო უწმინდესობავ, ორმოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც XX საუკუნის საქართველოს უპირველესმა პოეტმა გალაკტიონ გაბაიძემ ტრაგიკულად დასრულა სიცოცხლე. არავინ იცის, ზუსტად, რა მოხდა ამ დღეს...

ქართული საზოგადოების სახელით, უმორჩილესად გთხოვთ, თუკი არსებობს რაიმე გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, თქვენი მადლიანი ლოცვა-კურთხევა მოიღოთ მგოსნის საფლავისთვის...“.

„გამოსავალი მდგომარეობიდან“ ქრისტიანული რელიგიის კანონთა მიხედვით, ერთადერთი გახლდათ: პატრიარქის ნებით, საქართველოს ეკლესიის თავის თავზე უნდა აეღო გალაკტიონის **„მომაკვდინებელი ცოდვა“.**

ჩვენ, ალბათ, ვერც წარმოვიდგენთ ამ მდგომარეობის სირთულეს, იმ ტვირთის სიმძიმეს, რასაც ჩვენი პატრიარქი მხურვალე ლოცვით უნდა შესდგომოდა.

იყო წარმოუდგენლად ძნელი, მაგრამ ამ შემთხვევაში მას ერთადერთს, მხოლოდ პატრიარქს შეეძლო ეს.

ამ ამბავში ბევრი რამ დიდი საიდუმლოთია მოცული და ჩვენს ცოდნას აღემატება. გახმარგებისთვის საეკლესიო მოღვაწეს, **დეკანოზ გიორგი საბიაშვილს** მივმართეთ.

მამა ბიორბი (საბიაშვილი): სიტყვებს „მიწა ხარ და მიწად იქეც“ სიღრმისეული და, მართლაც, საიდუმლოებით სავსე შინაარსი აქვთ... საფლავი, ანუ სადაც განისვენებენ, აუცილებლად ნაკურთხი უნდა იყოს, რაც მიცვალებულის მშვიდ მდგომარეობაში ყოფნას ნიშნავს.

პატრიარქის გადაწყვეტილება, რომ დიდი პოეტის, გალაკტიონის საფლავი, მიუხედავად მისი უდიდესი ცოდვისა – თვითმკვლელობისა, ეკურთხებინა, ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტი გალაკტიონ გაბაიძისთვის, მისი სულისთვის, ყველაზე დირებული და არსებითი მოვლენაა.

შემთხვევით ამქვეყნად არაფერი ხდება. გალაკტიონმა ეს მიტევება, ალბათ, დაიმსახურა მისი ადამიანური გულწრფელობით და პოეზიაში გასაგებული ღვაიბრივი ენერგიით...

* * *

ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულიად დაუცველი, ბავშვივით უმწეო და მიუსაფარი **„გენია რიმანელი“**. როგორც ჩანს, იმქვეყნიური ცხოვრებისთვის ვერ მოემზადა და მისი სულის სიმშვიდისთვის, ანუ მისი გადარჩენისთვის – საქართველოს პატრიარქმა იზრუნა...

იმ დღეს სიონის ტაძრის ეზოში დიდი სუფრა გაიშალა. მრავალი უპოვარი დაპურდა... იქ შეკრებილი საზოგადოება შემდეგ მთაწმინდაზე ავიდა...

ყველა ხედავდა, რომ იმ დღეებში უწმინდესი და უნეტარესი ილია II ავადმყოფობდა, ფეხზე დგომა უჭირდა, მაგრამ მამადავითზე მაინც აბრძანდა და ყველა რიტუალის დაცვით გალაკტიონის საფლავს წესი აუგო...

იხ. მე-6 გვ.



ვინ არის ეს ქალი...

რიტის უკვდავყოფა – ელისო

კირა ანდრონიკაშვილის ტრაგიკული ცხოვრების წინასწარმეტყველება

კირა – თავად გიორგი ანდრონიკაშვილის და ულამაზესი პოლონელი ქალბატონის ეკატერინე სლივიცკას ასული, კინოვარსკვლავ ნატო ვაჩნაძის და ცნობილი მწერლის ბორის პილნიაკის მეუღლე, მწერლისა და მსახიობის ბორის ანდრონიკაშვილის დედა, კინორეჟისორების ელდარ და გიორგი შენგელაიების დეიდა, არქიტექტორ გოგი ანდრონიკაშვილის, კინომსახიობ კირა ანდრონიკაშვილის და არქიტექტორის, რომანსების შესანიშნავი შემსრულებლის მერაბ ანდრონიკაშვილის მამიდაა და რაც მთავარია, ნიკოლოზ შენგელაიას უკვდავი ფილმის „ელისოს“ უკვდავი პერსონაჟი... ადამიანი, რომელსაც სამწუხაროდ, ბედმა შემოქმედებითი შესაძლებლობების მხოლოდ მცირედი გამომჟღავნების შესაძლებლობა მისცა...

ბედნიერი ბავშვობა ყაჩაღ ზელიმხანის ხელით მოკლული მამის – ბრწყინვალე ოფიცრის გიორგი ანდრონიკაშვილის სიკვდილმა გადაფარა. უცხო მხარეში მარგო დარჩენილმა დედამ მოახერხა ბავშვების ფეხზე დაყენება, მათთვის შესაფერისი განათლების მიცემა. ცნობილმა მხატვარმა თ. ყუბანეიშვილმა იკონოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით შექმნა ეკატერინე სლივიცკას გრაფიკული პორტრეტი, რომელშიც ამ არაჩვეულებრივი ქალბატონის სულიერი და ფიზიკური მშვენიერების სრულად გადმოცემა შეძლო.

ამბობენ, ანდრონიკაშვილების – ნატოს, თამარის, კირას, სანდროს გარეგნობაში, ისევე როგორც კიდევ ერთ ულამაზეს ანდრონიკაშვილში, სალომეში („სალომეა“, „სალომინკა“ – პოეტების და მხატვრების მუზა) იგრძნობოდა მათი შორეული წინაპრების, ბიზანტიელი კომნენებისგან მემკვიდრეობით მიღებული შინაგანი სიამაყე.

ანდრონიკაშვილების მშფოთვარე ცხოვრება – წარმატებები და ტრაგიკული ბედი განსაზღვრა ეპოქამაც – რევოლუციების, ომების ხანამ. ერთი და – სამკურნალოდ საზღვარგარეთ გამგზავრებული თამარი, იძულებით მოწყდა სამშობლოს და ემიგრაციაში გარდაიცვალა, მეორეს, კირას – რეპრესიები და დანგრეული პირადი ცხოვრება ხვდა წილად, მესამემ – ბრწყინვალე ვარსკვლავმა ნატო ვაჩნაძემ ვარსკვლავივით ცაში დაასრულა სიცოცხლე...

კინომსახიობი და რეჟისორი კირა ანდრონიკაშვილი დაიბადა 1908 წლის 29 ნოემბერს. რამდენიმე წელი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1929-31 წლებში მოსკოვში ცოდნას იმდიდრებდა ცნობილი რეჟისორის ი. ზავადსკის სტუდიაში. 1936 წელს დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი, სადაც სწავლობდა სერგეი ეიზენშტეინის კლასში.

1923 წლიდან თავის დასთან, ნატო ვაჩნაძესთან ერთად, იღებდნენ ფილმებში. შესრულებული აქვს ჯამალას როლი იული რაიზმანის ფილმში **„მიწას სწყურია“** (1930), აგრეთვე როლები ფილმებში **„შავი მთები“** (1941), **„ის კიდევ დაბრუნდება“** (1943), **„ზვიგენის კბილი“** (1959) და სხვა. მუშაობდა, აგრეთვე ასისტენტად და მეორე რეჟისორად ფილმებზე. მისი რეჟისორობით კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ქართულ ენაზე დუბლირებულ იქნა 15-მდე უცხოური ფილმი.

ყველაზე დიდი წარმატება მოუტანა ფილმმა „ელისო“, რომელიც გადაიღო ნიკოლოზ შენგელაიამ (1928). ეს ნაწარმოები მისი მსახიობური ნიჭის, შესაძლებლობების ყველაზე ნათელ გამოვლინებად იქცა.

„ელისო“ სამუდამოდ ჩაიწერა ქართული კინოკლასიკის ისტორიაში, ხოლო კადრები კირას მონაწილეობით მთიელი ხალხის ტრაგედიის ერთ-ერთ ყველაზე თვალშეჭდავ ილუსტრაციად იქცა. მუნჯი ფილმის პირობებში, კირას არაჩვეულებრივი, მეტყველი სახე გადმოსცემდა გრძნობათა მთელ სპექტრს, მრავალფეროვან პალიტრას.

სამწუხაროდ, ტრიუმფით დაწყებული კინოკარიერა შეწყდა, მისი სხვა როლები სრულიად არ იძლეოდა კირას სამსახიობო ნიჭის გამომჟღავნების საშუალებას.

გარკვეული როლი ამ კოლიზიებში მისმა პირადმა ცხოვრებამაც შეასრულა. მისი მეუღლე იყო მწერალი ბორის პილნიაკი, 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი, ცნობილი პროზაიკოსი.

აშკარა იყო, რომ ის წარმოადგენდა არაორდინარულ ადამიანს, რომელიც ვერ ეტეოდა საჭოთა სისტემის პროკრუსტეს სარეცელში. რეჟიმმა ვერ დააკარგვინა ინდივიდუალობა, რის გამოც იგი აღიქმებოდა პოტენციურ მტრად. როგორც წერს მოგონებებში მისი ვაჟი, მწერალი ბორის ანდრონიკაშვილი: **„იგი აღიზიანებდა ბევრს იმით, რომ ბევრს წერდა, ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ“** და უბრალოდ იმითაც, რომ იყო თავისუფალი, მოაზროვნე ადამიანი.

კირას ჯაცნობა და სიყვარულის დასაწყისი პილნიაკმა აღწერა ერთ-ერთ ნაწარმოებში. მან კარგა ხანს ვერ დაივიწყა საქართველოში, მთებში, ფილმ „ელისოს“ გადაღების დროს ნანახი, ცხენზე მოჯირითე ასული. კარგა ხანი დასჭირდა, რომ მიეღო

მისი თანხმობა. მათი მეჯვარე პოეტი გიციან ტაბიძე იყო, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ პილნიაკის ტრაგიკული ბედი გაიზიარა.

კირა ანდრონიკაშვილი გახდა მეუღლის მღვლვარე ცხოვრების თანამგზავრი, მისი ტრიუმფის მონაწილე, მოწმე პილნიაკისადმი მიმართული ზღვარგადასული, შეკვეთილი სალანძღავი კამპანიისა, რომელშიც პარტიული მლიქვნელების გარდა, ყოფილი მეგობრებიც მონაწილეობდნენ, თუმცა ტრაგიკულ ფინალამდე თითქოს შორი იყო...

კირა მასთან ერთად მოგზაურობდა, ხვდებოდა რუსეთის ინტელექტუალურ ელიტას, ქმართან ერთად იყო სანდინავიაშიც. ცხოვრების ამგვარი წესი დიდად აღიზიანებდა ადამიანებს, რომელთაც უკვე გამომუშავებული ჰქონდათ საბჭოთა ადამიანების არამარტო ცხოვრების „წესები“, არამედ ფიქრის მიმართულებებიც. ისინი ჩასაფრებულები იყვნენ და ელოდნენ როდის დაინტერესდებოდა პილნიაკით მთავარი „კონტროლიორი“, იქ, კრემლში....

პილნიაკი დააპატიმრეს შვილის დაბადების დღეს, 1937 წ. 28 ოქტომბერს, აგარაკზე, პერედელკინოში. მაშინ ბორისი 3 წლის იყო. დედის, კირას მონათხრობიდან იხსენებს იმ ტრაგიკულ დღეს, როდესაც თითქოს არაფერი მოასწავებდა ამგვარ დასასრულს. მამა დილიდან მხიარულად იყო. მიულოცა შვილს დაბადების დღე. ცოლ-ქმარი იხსენებდა 1934 წელს, დაუვიწყარ მოგზაურობას სკანდინავიაში, თავის მეგობარ უცხოელ მწერლებს. პაგარა იუბილარს ეწვივნენ მეზობლები – პასტერნაკები, მიიღეს მისალოცი დეპეშები თბილისიდან...

საღამოს კი... საღამოს კი გამოჩნდა წარგზავნილი ადამიანისგან, რომლის ხსენება ყველას შიშს ვერიდა... ბორის პილნიაკს ეჟოვთან იწვევდნენ... მისი შიკრიკის გამოჩენა თითქმის ყოველთვის სიკვდილს მოასწავებდა. ამ ადამიანებს სისასტიკესთან ერთად არც ცინიზმი აკლდათ – **„მხოლოდ ცოგა ხნით, მხოლოდ საქმეზე, სულ მალე დაბრუნდებით სახლში“** – ეუბნებოდნენ განწირულ ადამიანებს. ასე იყო პილნიაკებთან, როდესაც კირამ თითქმის ყველა იმდროინდელი ინტელიგენტის სახლში წინასწარ გამზადებული საცხო ბოხჩა მიაწოდა ქმარს.

– **„რა საჭირო, თქვენივე მანქანით დაბრუნდებით!“** – თქვა სტუმრმა. ბორის ანდრონიკაშვილი ახლობლების მოგონებებზე დაყრდნობით აღწერს საშინელ სცენას, რომელიც, ვინ იცის, რამდენ სახლში განმეორდა. ბოხჩის წაღებაზე ბორისმაც განაცხადა უარი. **„მე მივხვდი, მას სახლიდან უნდოდა თავისუფალ ადამიანად და არა პატიმრად წასვლა“,** – იხსენებს ბორისი დედის ნათქვამს.

ერთი თვის შემდეგ, პირდაპირ სტუდიაში დააპატიმრეს კირა ანდრონიკაშვილიც. დედამ ეკატერინემ მათი ვაჟი, პატარა ბორისი თბილისში ჩამოიყვანა. იგი იზრდებოდა ელდარ და გიორგი შენგელაიას, თენგიზ ვაჩნაძის გარემოცვაში. მან მწერლის გზა აირჩია, თუმცა საქართველოში ბევრს ახსოვს მის მიერ შესრულებული დახვეწილი ინტელიგენტის, არჩილის სახე მახეილ ჭიაურელის ფილმში **„ოთარაანთ ქვრივი“.**

კირას ძმისშვილს, სანდრო ანდრონიკაშვილს სამი შვილი ჰყავდა – გიორგი, მერაბი და ქალიშვილი, მამიდის სიპატივცემოდ კირა რომ დაარქვეს. უმცროს კირას, რომელსაც საზოგადოება იცნობს საინტერესო კინოროლებით, ხშირად აღარებდნენ მამიდას, დედამ მას ერთხელ უთხრა ფრაზა, რომელიც სამუდამოდ დაამახსოვრდა – **„ეცადე დაემსგავსო კირას არა გარეგნობით, არამედ სულიერად!“.**

კირა მეგობრობდა ბევრ გამოჩენილ ადამიანთან. მას ბორის პასტერნაკი დაეხმარა რეაბილიტაციაში. ამ ოჯახის გრადიციებს, ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების განვითარების გზაზე, ბორისის მეუღლე – მხატვარი რუსუდან ანდრონიკაშვილი, მისი შვილები აგრძელებენ.

თბილისში, 2004 წელს ბორის ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილ საღამოზე ბევრი ითქვა კირაზე, ბორისზე, სიყვარულზე, მათ ტრაგიკულ ბედზე... კირას ძმისშვილმა მერაბ ანდრონიკაშვილმა, რომანსების ცნობილმა შემსრულებელმა, რამდენიმე სიმღერა შეასრულა მათ პატივსაცემად.

და კიდევ ერთი მშვენიერი კირა – ბორის ანდრონიკაშვილის ქალიშვილი. ლიტერატურათმცოდნე, რომელიც ამჟამად პილნიაკის შემოქმედების შესწავლაზე მუშაობს. მან უკვე გამოსცა მოსკოვში მის თხზულებათა ექვსტომეული. ჩაფიქრებული აქვს სხვა პროექტებიც.

თავის მოგონებებში ნატო ვაჩნაძე ხატოვნად აღწერს 1949 წელს გამართულ საიუბილეო საღამოს, რომელზეც კირა კვლავ წარსდგა ელისოს როლში:

„განსაკუთრებული თავისებურებით კიბეზე მარგო ჩამორბის ელისო – კირა ანდრონიკაშვილი. იგი ისე მოქრის, როგორც თვით ელისოს შეეძლო ყამბეგის მთებიდან ქვევით დაშვება, ხელში მთის პირველი იების კონა უჭირავს და როდესაც ის ლაპარაკობს, ყველა ქვითინებს... ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ. თავს ვერ ვიკავებ, ცრემლები მომწყდა თვალებიდან. ეგირი...“

ეს ელისოა – კირა ანდრონიკაშვილი. როლი – სიცოცხლე, როლი – ბედისწერა...

ნინო ზაალიშვილი

მკვირფასი საფლავები



ასე დაბოვა გალაკტიონმა თავისი საწერი მაგიდა...

(მეხუთე გვერდიდან)

ეს ყველაფერი, მართლაც, მისტერია გახლდათ... ნეტავ, რა იურმნო გალაკტიონის სულმა? შეიდა იგი სასუფეველში?

მამა გიორგი (საბიამშვილი): თუ რა იგრძნო მისმა სულმა, ამაზე შეუძლებელია პასუხის გაცემა. ეს არავინ იცის და ვერც ვერასდროს გაიგებს. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ღვთის განგებით და პაგრიარქის ლოცვით, ის უკეთესად არის, ვიდრე იქამდე იყო. ამის შემდეგ ყველა ჩვენგანს ეძლევა საშუალება, საეკლესიო წირვებში გალაკტიონის სულიც მოიხსენიოს... მას ხომ მთამომავლები არ დარჩენია... ქართველებს გამორჩეულად უყვართ მისი პოეზია, აღელვებთ მისი ცხოვრებისეული ხვედრი და აღსასრული... ახლა ყველას შეუძლია სანთელი დაუნთოს, მოსახსენებელში ჩაწეროს, მცირე საკურთხი გაუკეთოს... მიცვალებულებზე ბრუნვა ხომ ისედაც უდიდესი მადლია... ჩვენ მუდამ უნდა ვეხმარებოდეთ მიცვალებულთა სულებს. ისინი სულ გველიან...

* * *

2000 წლის 25 ივნისს, მაფხულის იმ ძალიან ცხელ დღეს, მთაწმინდაზე, გალაკტიონის საფლავთან, უამრავი ხალხი იდგა: მწერლები, ე.წ. საზოგადო მოღვაწენი, პოლიტიკოსები, პარლამენტარები, მინისტრები, ჟურნალისტები... ისინიც კი, რომელთათვის შეუღწევადი სფეროა პოეზია... ყველანი ხმამაღლა, მონდომებით, მაგრამ მეტ-ნაკლები წარმატებით, მჭევრმეტყველებდნენ... აქაიქ პოლიტიკური პამფლეტებიც გაისმა... ვიღაცამ კომპლიმენტები და მადლობა უძღვნა ქალბატონ კულტურის მინისტრს, ვისი დამსახურებაც ამ ღონისძიებაში სრულიად არაფერი გახლდათ, მაგრამ იქ მოსვლით „კულტურული“ ოფიციოზის თანადგომა, ასე ვთქვათ, „კულტურულად“ გამოხატა...

ამ და სხვა პირობითობათა მიღმა გულწრფელი სიხარულიც სუფევდა. საზოგადოება **„ეფემერას“** პრეზიდენტი ბაგონი **ხუგა ყუფარაძე** თვალებზე ცრემლებს ვერ იშრობდა... პოეზიის მოყვარულები შეთქმულებივით უღიმოდნენ ერთმანეთს.

იმ დღეს საჯაროდ და პათეტიურად ითქვა, რომ **25 ივნისი ცხადდება გალაკტიონის დღედ და ამიერიდან ყოველ წელს აღინიშნება მის საფლავზე რიგგარეშე ასვლით.** გაისმა მქუხარე ტაში და ერთსულოვნების შეეხილები. ზეიმი შესდგა.

* * *

გავიდა თვეები, წლები... თბილისი ისევ პოლიტიკური ბაგალიებით დაკავდა...

მალე საზოგადოება „ეფემერას“ პრეზიდენტი ბაგონი ხუგა ყუფარაძეც გარდაიცვალა... როგორც ერთმა პოეტმა თქვა: **„წავიდა თავის გალაკტიონთან...“**

მეორე, მესამე თუ მეოთხე წელს, 25 ივნისს, ყოფითი და პრაგმატული პრობლემებით დაკავებული ისედაც გადაღლილ ჩვენს საზოგადოებას, გალაკტიონის საფლავზე ასვლა აღარ გახსენებია. ერთი-ორჯერ სკოლის მოსწავლეები გამოჩნდნენ და საზოგადოება **„ეფემერას“** პრეზიდენტის შავებში ჩაცმული მეუღლე...

მამა გიორგი (საბიამშვილი): ჩვენ, ქართველებმა, ყველაფრის დაწყება ვიცით, მაგრამ აღარაფერს ვასრულებთ ბოლომდე... 25 ივნისი გალაკტიონისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღია, მისი სულის ახსნის, საფლავის პირველად კურთხევის დღე, უდიდესი შვებაა პოეტის იმქვეყნიური ცხოვრებისთვის... არა მარტო საზოგადოებამ, საპატრიარქომაც უნდა იზრუნოს ამ თარიღის აღსანიშნავად, რამეთუ, მან დაიწყო ეს საქმე... ჩვენ ვიცით, რომ არ არსებობს მეორე გალაკტიონი... და უნდა გავუფრთხილდეთ... 25 ივნისი შეიძლება ეს მისი მეორედ დაბადებაა სხვა ცხოვრებაში...

* * *

შარშან, 25 ივნისს, მთაწმინდაზე ისევ ავედით. გალაკტიონის საფლავთან კვლავ არავინ იდგა...

პოეტი ჩვეულებრივზე კიდევ უფრო მეტად მარტო მეჩვენა და თითქოს ეს სრულიად ლოგიკურიც გახლდათ – მარტოობა აქაც და იქაც...

დღესაც ოცდახუთი ივნისია. ავა კი ვინმე მის საფლავზე?..

ნუთუ, მართლა აღარ არსებობენ ჩვენთვის ისინი, „ვინაც გარდაიცვალნენ?..“ ნუთუ, **„სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა?..“**

და მაინც, ნეტავ, რა იურძნო იმ დღეს, საფლავის კურთხევისას, გალაკტიონის სულმა ეს სად არის ახლა მარტოობის ეს დიდი ბინადარი?

ნინო ხოფერია

l h j l f ybdst,b

რელიკვია







2005 წლის ივნისის თვეში აკაკი წერეთელს დაბადებიდან 165 წელი შეუსრულდა. დროის გადასახედიდან მოვნიშნეთ ის მანძილი და მდგარი, რაც კლასიკური აბრევნების ფორმასთან გვაშორებს და, რაც სწორედ კლასიკური ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ჩანს, ნოსტალგიის საყოველთაო ქამი ჯერ არ დამდგარა...

ძალიან დაკვირვებული მჭვრეტელი ჩანს გერმანელი მწერალი **არტურ ლაისტი,** რომელმაც ერთხელ მოულოდნელად აღნიშნა: „აკაკი და ილია მეგობრები არ ყოფილან, მაგრამ წინააღმდეგობის მიზეზებს აშკარად როდი ამჟღავნებდნენ. ამიგომ არიან ორივენი პატივსაცემნი. ორთავეს კარგად ვიცნობდი და ვიცი, რომ ისინი მალავდნენ თავიანთ გრძნობებს. უნდა ითქვას, ორივე, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსები, ისე ეპყრობოდნენ ერთმანეთს...“

კლასიკურ ეპოქასთან დაშორებით, როგორც ჩანს, ურთიერთობის კლასიკური სტილიც დაიკარგა, ოპონირების კულტურაც, ურთიერთის ღირსების აღიარების გამო თავშეკავების უნარიც...

ლიტერატურის ისტორიამ არ შემოგვინახა **ილიას** და **აკაკის**, ლაისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„წინააღმდეგობის მიზეზები“,** რადგან მათ ყველაზე მთავარში, რასაც **სამშობლოს სამსახური** ჰქვია, ერთად ყოფნა არგუნა ბედმა.

გურამ ასათიანს შეუნიშნავს, რომ **აკაკის** ცნობილი სიტყვები **„არც მიწისა ვარ, არც ცისა“** – ილიასთან „შინაურ“ პოლემიკას ჰგავს... აკაკის ერთხელ, ირონიის აღრესატის დაუსახელებლად, უთქვამს: **„საკვირველია! ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მე ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არა მაქვს და ერთხელაც არ მახსოვს, ღმერთი დამლაპარაკებოდეს...“**

რა თქმა უნდა, აქ ცნობილ სიტყვებს **„ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ, რო წარგუძღვე წინა ერსა“** – ავტორი იგულისხმება.

ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ **ძვირფას რელიკვიებს** – აკაკის **„პოეტი“**-ს ავტოგრაფს და მისივე საწერი მოწყობილობის გამოსახულებას, – კალამს, რითაც დაიწერა: **„არც მიწისა ვარ, არც ცისა...“**

ამ საგნებს, რადგან ვიცით, რომ აპაპი წერეთელი ეხებოდა, რაღაც იდუმალი აურა ახლავს და ყოფიერების განსხვავებული ფორმა გააჩნიათ... პოეტის სახელი საგნებს განუმეორებელ ინდივიდუალობას ანიჭებს და მათი, როგორც მემორიალური ნივთების, დროში სამუდამო არსებობაზე და ადგილზე მიგვანიშნებს... თუმცა, გააჩნია, როგორი იქნება შემდგომი დრო...

პოლიტპატიმარ გივი აბრამიშვილის მოგონებები

(ავტორისეული სტილი დაცულია)

ორი კომენდანტი დამინიშნეს, რომ არსად გავქცეულიყავი და კვირაში ერთხელ ხელი მომეწერა მათთან, რომ ადგილზე ვარ და არსად წავსულვარ, კომენდანტებს 300-300 მანეთი ჰქონდათ ჯამაგირი დანიშნული ჩემი ყარაულობისთვის. შემდეგში ისე შემეზივნენ ჩემი არყისტი კომენდანტები, რომ შეხვედრის დროს არაყს ვასმევდი და ვეუბნებოდი: მე რომ არ ვიყო, ვინ მოგცემდათ 300 მანეთის ჯამაგირს-მეთქი.

სადაც არ მივდიოდი, სამუშაოდ არ მღებულობდნენ. ვინაიდან ჩემს უმსგავსო პასპორტის ცნობაში ეწერა, რომ ვარ პოლიტიკური დანაშაავე, სამშობლოს მოღალატე და ვარ სამუდამო გადასახლებაში.

ვახერხებ მაინც მუშაობის დაწყებას. ვეცნობი ერთ მოხუც ადამიანს – ეროვნებით რუსს, ჩემს შემდეგ მოყვანილს გადასახლებაში. ინჟინერია, პაგოსანი ადამიანი. მიმყავს ჩემს მიწურში საცხოვრებლად... ისიც ჩემსავით სწუხს: სურს გაგაგებინოს სახლში, სად იმყოფება... ერთხელ მაჩვენებს თავის ბლოკნოტს, სადაც ქართველის გვარი ქართულად წერია – **„მერაბ ვაჩნაძე“**. ვეკითხები: – საიდან მეთქი? მიპასუხა: ერთად ვიყავით კალიმაშინი. ჩემ გვერდით იწვაო და გარდაიცვალა შიმშილ-სიცივითო. მიამბო ყველაფერი, მისი თავგადასავალი, მისი ადამიანური, დაღებითი თვისებები...

ერთ წვიმიან დღეს, დილით მივდივარ პურის მაღაზიაში, ვხედავ: შვიდი მოხუცებული კაცი პურის მაღაზიასთან ხურდა ფულს აგროვებს, პურის საყიდლად, მთლიანად სოველები არიან, ტანსაცმელი ტანზე აქვთ მიკრული... ვუყურებ გარედან და რას ვხედავ: ქართველები არიან, გული დამეწვა, მივხვდი, ეს მოხუცებიც გადასახლებაში მოუყვანიათ.

არ ვცემ ხმას. ვფიქრობ: ნეტა თუ გამოიცნობენ, რომ ქართველი ვარ? შევდივარ პურის მაღაზიაში, გამყიდველს შვიდ პურს ვართმევ და ვურიგებ სათითაოდ ყველას. მაშინ მიხვდნენ, ვინც ვიყავი. წავიყვანე ჩემს მიწურში დასაბინავებლად ეს უპატრონოდ დაყრილი მოხუცები... გავიდა დრო და ამ ჩემმა მოხუცებმა, ყველამ, თავისი ხელით მომიდეს ტალახი და ქოხები აიშენეს.

* * *

ბავშვობანი ერთი კეთილი ადამიანი, ლენინგრადელი ვასილისა ბრაჩოვანტონოვა, მეუღლის გამო გადმოსახლებული, რომელიც 1937 წელს დაუხვრიტეს. მასთან ჩამოვიდა მისი უმცროსი ქალიშვილი...

გადავწყვიტე, აღარ გავუშვა ლენინგრადში. დარჩა... ვიტოვებ ჩემთან და ვიწყებ ოჯახიანობას. ამ დედა-შვილმა ბევრი რამ კარგი გამიკეთა. დაუვიწყარია მათი ამაგი... იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ესენი რომ არა, შეიძლება ცოცხალიც არ გადავრჩენილიყავი და საქართველოც არასოდეს მენახა... ამიგომ 1944 წლის იანვრიდან დღემდე ჩემთან არის ჩემი თანამგზავრი...

* * *

1949 წელს გადმომიყვანეს ჯამბულის ახლოს, შაქრის ქარხნის მშენებლობაზე, ჩემი კარგი მუშაობით რაღაც ბინაც მივიღე. მოვაგროვე ყველა ქართველი, ვინც იქ იყო სამუდამო გადასახლებაში და ჩემთან დავაწყვინე მუშაობა. ყველა ჩემთან დადიოდა ოჯახში, ვინაიდან ის მოხუცები მარგონი ცხოვრობდნენ. ყველა მახსოვს: ანსტასია იშნელი, სანდრო ტერტერაშვილი, დიმიტრი მაისურაძე, ლობჟანიძე, ელიშბარ ბაკურაძე, თამარა წულუკიძე...

ხშირად იკრიბებოდნენ ჩემთან ოჯახში. აქ პატარა საქართველო მქონდა, დიდი გულით.

ამ ხნის განმავლობაში ბევრ განცხადებას ვწერდი და ვაგზავნიდი მოსკოვში, მთავრობასთან, თუ რის გულისთვის ვიმყოფები-მეთქი სამუდამო გადასახლებაში სასჯელის დამთავრების შემდეგ. მე ხომ უმაღლესმა სასამართლომ მომისაჯა რვა წელი, რომელიც დავამთავრე და ეს სამუდამო გადასახლება რაღასთვის მეკუთვნოდა? პასუხი არსაიდან ჩანდა. ერთხელ გამომიძახეს ოლქის შინაგან სამინისტროში. ამოიღეს ჩემი ყველა განცხადება და მაჩვენეს: ეს ყველა ჩვენთან მოდის და არა მოსკოვშიო. მეგი აღარ დაწერო საჩივარიო! სულერთია ამას მოსკოვამდე არ გავუშვებთ. შენ კი ისეთ ადგილზე გადაგაგდებთ, სადაც ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებო. რა ძალა მქონდა, შევეგუე: სამუდამოდ უნდა დავრჩენილიყავი კაბახსტანში.

ქართველებიდან ყველაზე ადრე მე მიმიყვანეს სამუდამო გადასახლებაში – კაბახსტანში და ყველაზე გვიან მე გამანთავისუფლეს. ისე შევეჩვიე ამდენი ხნის იქ ყოფნას, რომ მიწის ნაკვეთიც ავიღე, მესიმინდეობა დავიწყე, ჩვენებური მწვანილებიც გავამრავლე, მაგრამ მამაჩემს იმ თხუთმეტი წლის განმავლობაში არ გაუცდენია არც ერთი თვე, რომ სამი „პასილკა“ არ მოეწოდებინა ჩემთვის. ერთხელ სახლში ფული გავაგზავნე იმისთვის, რომ ცოდნოდათ ალარ მჭირდებოდა მათი დახმარება. გადის ორი კვირა და მომდის ამანათი, ახალი ტანსაცმლით. მამა მწერდა: **„ალბათ ტიტველი ხარ, შვილო და შენი ფულით გიყიდე ტანსაცმელი და გიგზავნიო. მეორედ აღარ გაბედო ფულის გამოგზავნაო. შვილო, მე უკანასკნელ ხალათს გავყიდე და შენ მოგაწოდებო...“**

* * *

მახსოვს, 1941, 1943 წლები – კუთხის ფანჯარასთან ცემენტზე ვდგები და კიდევ რამდენი ჭირი მაქვს გადაგანილი ჩემი 15 წლის პატიმრობაში...

თუნდაც პატიმართა სამგზავრო ვაგონები... ვაგონში ორი ნარი იყო და სულ 72 კაცი ვთავსდებოდით. გზაში შიმშილისგან 4 კაცი მოგვიკვდა და ვაგონის კარებთან დავალაგეთ, სადაც სიცივე შემოდიოდა და არ გაფუჭდებოდნენ. ეს გვამებიც ხომ ადგილზე, თვლით უნდა ჩაებარებინათ...

ჩემს საკნებში მე პატარა უნივერსიტეტი გავიარე.

ყველაფერი, რაც დღეს იწერება, მე იქ უკვე ვიცოდი: გრიგოლ როგაქიძეზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ვმირობაზე, მის ძმათანაფიცებზე... 1921 წლის ანექსიის ცინცხალი ამბები, სტალინისა და ორჯონიკიძის „კი კაცობა!..“

საკანი № 42 იყო ჩემი უნივერსიტეტი. ამ ამბების შესახებ მიყვებოდა იქ მსხდომი უფროსი თაობა. როგაქიძის შესახებ – დავით ცინცაძე და პანტელეიმონ გოგიტიძე, ქაქუცას შესახებ მიამბო მიგო ვარდოშვილმა დუშეთიდან და გოგი მინდორაშვილმა, ყოფილმა ქართული ცხენოსან-ლეგიონის შტაბის უფროსმა. 1921 წლის ანექსიაზე მიყვებოდა გრიგოლ ილიას ძე ჯაფარიძე, რომელსაც ზუსტად ახსოვდა ყველაფერი. მათ შორის, თუ როგორი სიტყვები ეწერა თბილისის სახლების კედლებზე:

„სიზმრად ენახე: საქართველო,
სისხლის ზღვაში ბანაობდა,
დაფლეთილი მისი დროშა
კოჯრის მთაზე ქანაობდა...“

ასევე ყველაფერი მახსოვს მე, ვისაც 37-ში ქართველ ხალხთან ერთად არ ეძინა... ნავთისა და პურის რიგებში ვარ გაზრდილი და ვორკუტაში დადინჯებული, ამჟამად დაბერებული და გულამოვარდნილი, ჩვენი განჯული სამშობლოს მდგომარეობით. რამდენი პიროვნება მინდა გავიხსენო: როგორ გარდაიცვალა კალუგაში მერაბ ვაჩნაძე, როგორ მოკლეს 1942-ში ჩემი მუსტაფა შელია.

მინდა მოვიგონო ჩემი მოხუცი ქალი ნუშა, აგრიდან, რომელიც ახერხებდა ჩემთვის კარცერში საზრდოს მოწოდებას... პატიმრების საყვარელი ქალი, ექიმი ნელი კახნიაშვილი, რამდენი სიკეთე დაუთესია იმ პატივცემულ ქართველ მანდილოსანს... იყო იშვიათობაც: ვერელი კაცი – ცოხის უფროსი, ილიკო ჯაყელი, ჩვენს მორეულ გადასახლებაში წასვლის წინ ყური მოკრა განშორების სიმღერას რომ ვმღეროდით, კარი გააღებინა და ცრემლმორეული დაგვემშვიდობა. უცნაური იყო გურულების დიდი ჯგუფი: კალანდაძეები, ლომთათიძე, ცეცხლაძე, ფოფიტიძე, ჩიკაშუა... რაზეც ისხდნენ: 1940 წელს გურიაში პარიზიდან გადმოსულან საერო საბჭოს დავალებით ერქომაშვილი და ფოფბერიძე და ვისაც ისინი უბრალოდ თვალით უნახავთ, ყველანი დაუჭერიათ. გაზეთის წაკითხვისთვის იჯდა დავით ცინცაძე... ჩვენთან იჯდა მიგო ვარდოშვილი, რომელმაც ქაქუცა ჩოლოყაშვილს კვიცი გაუშარდა და გაუხედნა...

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 137, 143.

ლექსი – მეგზური

ოთარ შალამბერიძე

ოჩაკლეკი

„ოქროს ხანაში“ მართდა ოქრო კი არ ეყარა, –
ოქროს გონება გამგებლობდა მთიღან ქვეყანას!

* * *

(მორის ფოცხიშვიღის გახსენება)

ეჭვს გიმხელ, მორის, ახირება თუ იყო სხვისი, –
შენი სამარის რო ვერ გახდა თბილისი ღირსი...

* * *

კაცი მოდის გეღიით – ბნეღი, სახით – ხვითო
და გვარიგებს... აი, საქმე სახითხითო...

* * *

ყვეღა ნიგნშია სიყვარეღის სიბრძნის მარცვაღი,
მაგრამ ფუყეა სიყვარეღი, ნიგნით ნასწავღი...

* * *

აგერ, ნეში, უძიღობით აფანიღი,
ერთ ღამეში გაიფურჩქნა ფაფმანივით...

* * *

(მინანერი ჩემსავე პოემაზე – „ზარი“)
მე ეს პოემა, სწორედ იმ დროს სისხღივით წამსკდა,
როცა დაკარგა საქართვეღიომ სირცხვიღის განცდა...

* * *

არა ინღომო სხვა ხაფიო თვინიერ ღვთისა,
მაგრამ აკაკიმ ხაფს სახეღად სამშობღო მისცა!

* * *

კაღმის ნვერი და შთაგონება ორი ფრთა არი,
ფრენისთვის მაინც ოცნებაა მგონი, მთავარი.

* * *

სოფეღი ჰგავს კეთიღ ძიძას,
ბავშვობას რო მკერღით იცავს.

* * *

მოგონება როცა გიცხობს ორცხობიღას,
იმას ნიშნავს, რომ მკვღარ ღროში ცოცხღობ ფკბიღად...

* * *

(გარდაცვღიღ კაცზე იფყვიან
„თქვენი ქირი ნაიღოო“...)
როცა მოვკვღები, ვისი ქირის ნამღები მე ვარ? –
რადგან ჩემივე ქირ-ვარამის მეყოფა თრევა...

* * *

ბრმა იარაღი იყოს სიღმე, არა მგონია,
ყვეღა იარაღს ცხრა თვაღი აქვს, ბრმა – პაფრონია.

* * *

მეზობეღს ეზოს უჩრიღიავდა მეზობღის მუხა,
და მოჭრეს იგი ნამღავად... ძაღიან ვნუხვარ...

ჩვენი ტელეფონები:
99-55-01; 893 14-57-56.

ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მზეხა მახარაძე, მამუკა ვაშაკიძე, ლევან ბოჭორიშვილი.

№ 149. შაბათი, 25 ივნისი, 2005 წელი.

◎ წარდგინება

ამ კაცმა მთელ იურიდიულ საზოგადოებაზე იზრუნა

თანაც ინგლისურ-ქართულად

რამდენიმე კვირაა, დავით წულაია მიერ შედგენილი ინგლისურ–ქართული იურიდიული ლექსიკონი გამოვიდა. წიგნის წარდგინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკაში გაიმართა.

წარდგინებაზე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა მადლობა გადაუხადა წიგნის ავტორს და დასძინა: „ეს ადამიანი არის მართლაც შემოქმედი, იგი ამ საქმეს წლების განმავლობაში მიმანდასახულად აკეთებდა. მისი შრომისმოყვარეობა დასაფასებელია, რადგან მან არა მხოლოდ საკუთარ თავზე, საერთოდ, მთელ იურიდიულ საზოგადოებაზე იზრუნა“...



– ბატონო დავით, რით განსხვავდება თქვენს მიერ შედგენილი ლექსიკონი საქართველოში არსებული სხვა იურიდიული ლექსიკონებისგან და რითაა იგი განსაკუთრებული?

– საქართველოში არსებობს მხოლოდ ორი იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი: ქართულენოვანი და პიტერ კოლინის გამომცემლობის ინგლისურენოვანი და ქართულად თარგმნილი განმარტებით ლექსიკონები, მაგრამ ისინი დღევანდელ პირობებში ტერმინთა რაოდენობით დიდად ჩამორჩებიან თანამედროვე მოთხოვნებს.

ჩემი ლექსიკონი კი შეიცავს დაახლოებით 50.000 ათას იურიდიულ ტერმინს, სიტყვასა (იშვიათად ცნებას) და კაკეგორიას. მასში ოფიციალური იურიდიული ტერმინების გარდა არის არაოფიციალური ტერმინებიც, სლენგიც, ჟარგონიც, სალაპარაკო ტერმინებიც და კოკნი ინგლისური სიტყვებიც. წიგნში დანართის სახით წარმოდგენილია სამართლის სფეროში ფართოდ გავრცელებული 2.000–მდე სიტყვათშემოკლება და ლათინური ენის ათასამდე იურიდიული ტერმინი და ფრაზა.

ლექსიკონში თითოეული ტერმინს თუ ტერმინოლოგიურ გამოთქმას თან ახლავს შესაბამისი ტრანსკრიფცია (ეს ორენოვან – ინგლისურ-ქართული სპეციალიზებული ლექსიკონების ისტორიას არ ახსოვს) და ყველა მთავარ სიტყვას მიწერილი აქვს შესაბამისი ინგლისური სიტყვის განმსაზღვრელი გრამატიკული კატეგორია.

– ვისთვისაა განკუთვნილი ლექსიკონი?

– ზოგადად ლექსიკონი განკუთვნილია საზოგადოების ფართო წრისთვის, მაგრამ, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, იგი განკუთვნილია ინგლისური ენის მცოდნე ქართველი იურისტებისთვის (თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსებისთვის) – ლექტორებისა და სტუდენტებისთვის, ასევე თარჯიმნებისთვის, იურიდიული ფირმებისთვის თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

ვფიქრობ, ლექსიკონი დიდად დაეხმარება მათ, ვინც ინგლისური ენის შესწავლის დასაწყისშივე გადაწყვეტს სპეციალიზებული (იურიდიული) ცოდნის მიღებას.

– როდის გადაწყვიტეთ ლექსიკონზე მუშაობა და რამ განაპირობა მისი შედგენა?

– ლექსიკონის შედგენის სურვილი გაციალებით აღრე დაიბადა, ვიდრე მასზე 2002 წელს, რეალურად დავიწყებდი მუშაობას. ჯერ კიდევ 1997 წელს, დიდ ბრიტანეთში გამგზავრებამდე, უცხო ენების ინსტიტუტში სწავლის დროს დავიწყე ამაზე ფიქრი. სტუდენტობის დროიდან მოყოლებული აქტიურად ვეცნობოდი სხვადასხვა სახის ინგლისურენოვან იურიდიულ ლიტერატურას და იურიდიული დოკუმენტების თარგმნისას ყოველთვის განვიცდიდი იურიდიული ლექსიკონის დეფიციტს, ხშირად ვიშველიებდი ინგლისურენოვან, ინგლისურ-რუსულ იურიდიულ თუ სამართლის მომიჯნავე დარგების სპეციალიზებულ ლექსიკონებს.

ლექსიკონზე სამომავლო მუშაობის მონახაზი მქონდა, დიდად დამეხმარა სტუდენტობისდროინდელი ჩანაწერები, იურიდიული ტერმინები თუ ფრაზები. ლექსიკონისთვის უამრავი იურიდიული ლიტერატურა დამიგროვდა. ზუსტად ვიცოდი, როგორ უნდა დამეწყო წიგნზე მუშაობა. ასე რომ, საქართველოში და უცხოეთში მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით დავიწყე ეს საქმე. სამწელიწადნახევარი მოვანდომე ლექსიკონზე მუშაობას და 2005 წლის მაისში ჩემივე ხარჯებთან გამოვეცი.

– რამდენად კარგად იცნობს დღეს

ბიოგრაფია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1995 წელს მუშაობას იწყებს პროკურატურის სისტემაში. 1997 წელს აბარებს სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე ასპირანტურაში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1999 წელს და ირიცხება ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1999-2001 წლებში განათლებას ღებულობს დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ლონდონში, ჰოლბორნის იურიდიულ კოლეჯში. იქვე, დიდ ბრიტანეთში, მუშაობს სადისერტაციო თემაზე. დავით წულაია, ლექსიკონის გარდა, გვევლინება რამდენიმე გამოკვლევისა და მონოგრაფიის ავტორად. 2002-2004 წლებში, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის დაფინანსებით, მუშაობდა უზენაეს სასამართლოში სამართალდაცვის სისტემის რეფორმების კომისიაში, კოორდინატორად. ამჟამად, ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიაში იურიდიული თანაშემწეა. ჰყავს ორი ულლი – თამუნა ხაჟალია და ვაჟი – გიორგი წულაია.

თქვენს ლექსიკონს საზოგადოება და სამომავლო გეგმებზე რას გვეტყოდით?

– მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კონსტანტინე კუბლაშვილს დიდი მადლობა მოვახსენო წიგნის პრეზენტაციის მხარდაჭერისთვის. მაგრამ დაბეჯითებით ვერ გეტყვით თუ რამდენად კარგად იცნობს დღეს საზოგადოება ლექსიკონს, ვინაიდან იგი ახალი გამოსულია.

ჩემს სამომავლო გეგმებზე გეტყვით იმას, რომ უკვე ვმუშაობ ქართულ-ინგლისურ იურიდიულ ლექსიკონზე. დაწარჩენს წინასწარ ვერ გაგიმხელთ, თუ რა მაქვს დაგეგმილი, მინდა ჯერ გავაკეთო და მერე ვისაუბრო.

– თქვენ ლექსიკონის გარკვეული რაოდენობა საქველმოქმედო მიზნით გაგიუქეთ. ისიც გვითხარით, სად შეიძლება წიგნის შეძენა?

– ლექსიკონი საჩუქრად გავუგზავნე ეროვნულ ბიბლიოთეკას, და ვაპირებ ვუსახსოვრო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის, ქუთაისისა და ჯორის სახელმწიფო უნივერსიტეტებს.

ლექსიკონის შეძენა კი თბილისის ნებისმიერ წიგნის მაღაზიაში შეიძლება, იყიდება ბათუმსა და რუსთავშიც.

– დაბოლოს, რაგომ გადაწყვიტეთ იურისტობა – თქვენი მოწოდება იყო თუ სხვა რამემ განაპირობა?

– ვფიქრობ, იურისტობა მამაკაცებისთვის ერთ–ერთი საუკეთესო პროფესიაა. თუმცა, პროფესიის არჩევა, ალბათ, მაინც ოჯახურმა გარემომ განაპირობა. მამა – ბაურ წულაია სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორია,

– რას იტყოდით თქვენს ოჯახზე? მეუულეც იურისტი ხომ არ არის და თქვენს შვილს რა პროფესიას ურჩევდით?

– ჩემი მეუღლე სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია, პედიატრი. რაც შეეხება შვილს, მან პროფესია საკუთარი ნებით უნდა აირჩიოს, თუმცა გამახარდება, თუ იურისტობას ისურვებს.

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

◎ მხარე

ჩაის, ჭიქაში მოოევის გარდა, კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა...

ხობი გრადიციულად სოფლის მეურნეობის რაიონია. აქ ძირითადად ჩაი, ციტრუსები, დაფნა, ყურძენი, სიმინდი, სოია მოჰყავთ. უკანასკნელ ხანს მეცხოველეობის აღმავლობაც შეიმჩნევა.

წლინახევარია რაიონის გამგეგლად დავით კუკავა დაინიშნა.

რაიონის ახალ თავკაცს მრავალი მოუგვარებელი პრობლემა დახვდა. თუ როგორ დაიწყო საქმიანობა ახალ თანამდებობაზე და სამომავლოდ რის გაკეთებას აპირებს, გვესაუბრება ბაგონი დავით კუკავა.

– დღეს რაიონის თავკაცობა სამშობლოს ჯარისკაცობას ნიშნავს, – ამბობს იგი, – როდესაც გამგეგლად დავიწყე მუშაობა, რომელი ერთი პრობლემისთვის მიგვეხედა, არ ვიცოდით. მართალია, თანაგუნდელები ერომანეთს ვამხნევებდით, მაგრამ პასუხისმგებლობა მოსვენებას ვვიკარგავდა. ცარიელი ხაზინა, დანგრეული ეკონომიკა, რაიონში მოშლილი საკომუნიკაციო საშუალებები დამხვდა. როდესაც წყლის დალევის გეშინია „ვაითუ, მომწამლოსო“, ასეთი რაიონის ხელმძღვანელს რა დამაძინებდა? ჩვენც წყალგაყვანილობის შეკეთებით დავიწყეთ მუშაობა, მერე შიდასარაიონო გზების აღდგენაც შევძელით. ხვალ და ზეგ უთუოდ ახალ სასიკეთო საქმეს წამოვიწყებთ. რაც მთავარია, უიმედობით შეპყრობილ საზოგადოებას, მომავლის რწმენა დავუბრუნეთ...

– როგორ შესრულდა რაიონის მარშანდელი ბიუჯეტი, რა მდგომარეობაა წლეულს?

– 2004 წლის რაიონული ბიუჯეტი დიდი გადაჭარბებით შესრულდა, რის შედეგად გაიცა ხელფასები და ყველა აუცილებელი ხარჯები დაიფარა. 2004 წლის ბიუჯეტში მობილიზებული იყო 3.498,9 ათასი ლარი, დაგეგმილი 3.115,3 ათასი ლარის ნაცვლად, რაც 111 პროცენტს შეადგენს. ხოლო 2005 წლის 4 თვის მონაცემებით ბიუჯეტის შემოსავლებმა 1.951,5 ათასი ლარი შეადგინა, დაგეგმილი 1.071,1 ათასი ლარის ნაცვლად, ანუ – 182 პროცენტი.

– რა კეთდება, სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან, ტრადიციულ დარგში მეჩაიეობაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობიდან თავის დასაღწევად? გათვალისწინებულია თუ არა ჩაის პლანტაციების პრივატიზება?

– მეჩაიეობის ბედს ბაზარი გადაწყვეტს. ამ სფეროში დასაქმებულმა ფირმებმა მეტი მონდომება და გაბედულება უნდა გამოიჩინონ, რომ „შეაღონ“ მსოფლიო ბაზრის კარები, უნდა იბრძოლონ ჩვენი ჩაის კონკურენტუნარიანობისთვის.

შარშან ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან დარგის ასაღორძინებლად სუფსიდიები გამოიყო. წლეულს მთავრობამ 335 ჰექტარზე ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად აბოტოვანი სასუქები მოგვაწოდა. ჰექტარზე 300 კილოგრამის სასუქების შეტანა, კულტივაცია და ეკალბარდისგან თრჯერადი გაწმენდა მიმდინარეობს. სამუშაოები დაწყებულია ხიბულის, თორსის, ბიის, საჯიჯაოს, ზემო ქვალონის ტერიტორიებზე. რაიონში სავარაუდოდ 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოიკრეფება. ნელლეულის მისაღებად მზადაა შპს „ულექსირი“ (დირექტორი ტარიელ სერგია). ჩაის ფოთლის კრეფა უკვე დაწყებულია.

რაც შეეხება ჩაის პლანტაციების პრივატიზებას, 1382 ჰექტარი მოსავლიანი ჩაის პლანტაციებიდან 450 ჰექტარი უკვე პრივატიზებულია, ეს პროცესი გაგრძელდება და საბოლოოდ ყველა პლანტაცია პრივატიზებული იქნება...

– სოციალურ სფეროზე რას იტყოდით? როგორ გაიცემა ხელფასები, პენსია-დახმარებები, გაგრძელდება დავალიანებების დაფარვის დაწყებული პროცესი?

– ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის დროს რაიონში საპენსიო დავალიანება 1.197 ათასი ლარიდან საფლეისოდ 183 ათას ლარამდე შემცირდა. სახელფასო დავალიანება 2003 წლის ბოლოსათვის 549,0 ათას ლარს შეადგენდა, დღეისათვის იგი მთლიანად გასტუმრებულია.

2004 წელს სოციალური პაკეტიდან მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე უმწეოთა დასახმარებლად გაიხარჯა 156 ათასი ლარი. 2005 წლის გასულილ პერიოდში 28364 ლარით 355 უმწეო ადამიანს დავეხმარეთ, აქედან ონოკოლოგიურად დაავადებულ 10 ავადმყოფს მკურნალობისა და ოპერაციისათვის გადაერიცხა 3844 ლარი. 3261 ლარის ღირებულების მედიკამენტებით დახმარება 107 უმწეო ადამიანმა მიიღო, ორი მძიმე ავადმყოფის დიალიზით მკურნალობისათვის გათვალისწინებულია 28 ათასი ლარი. ამ მიზნით უკვე გამოყოფილია 2.300 ლარი. ასევე რაიონის გამგეობა საშუალებას აძლევს ავადმყოფებს ფასგადაუხდელად ისარგებლონ სამედიცინო მომსახურებით, რისთვისაც 38 კაცმა მოგვმართა.

– რაგომ ვერ მოგვარდა რაიონში უწინ არსებული ბუნებრივი გაზის მოსახლეობისათვის მიწოდება?

– ელექტროენერგიით რაიონის მომარაგება ჩვენი ყველაზე მგკივნეული

საკითხი იყო, მაგრამ რაიონის გრანსფორმაგორების გამრიცხველიანებამ მოხმარებული ენერგიის ზუსგი მაჩვენებელი მოგვცა. ასევე თანხის ამოღების პროცენტულმა მაჩვენებელმაც მოიმატა. 2006 წლის იანვარ-თებერვალში მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება დაიწყება.

ვფიქრობ, ბუნებრივი გაზით ქალაქის მომარაგება უთუოდ მოგვარდება. ქალაქის 11-კილომეგრიანი ქსელის რეაბილიგაცია მიმდინარეობს, მშაღდება ტექნიკური დოკუმენტაცია, რაც გარკვეულ პროცედურებს მოითხოვს. წლის მიწურულისთვის, როგორც ტექნიკურად, ისე დოკუმენტურად საქმეთა საზოგადოება „ხობგაზი“ მზად იქნება მოსახლეობას მიაწოდოს ბუნებრივი გაზი.

– რამდენადაც ვიცი, ყულევის მშენებარე ტერმინალი რაიონის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, რომლის მშენებლობის განახლება „ვარდების რევოლუციის“ შემდგომმა სტაბილურმა გარემომ განაპირობა...

– 2004 წელს ბიუჯეტში 681 ათასი ლარი მივიღეთ ტერმინალიდან, ხოლო 2005 წლის 5 თვეში – 853 ათასი ლარი, რითაც რაიონის გამგეობამ შეძლო სხვადასხვა სოციალური პროგრამების დაფინანსება.

აქვე მინდა დავძინო, რომ ყულევის ტერმინალი უდიდეს საქმეს აკეთებს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შესასწავლად. კერძოდ, ტერმინალის მშენებლობამ დააფინანსა ყულევში მიმდინარე არქეოლოგიური ვათხრები, რომელსაც კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებს.

ყულევის ტერმინალის მშენებლობის ხელმძღვანელობის (უფროსი სპარგაკ ერაგია) ინიციაგივით, ხობის ცენგრალური სკვერი კეთილმოეწყო, ასევე ხობელებისთვის დიდი საჩუქარია მათ მიერვე მდინარე ხობის ხიდიდან რკინიგზის სადგურამდე გზის მონაკვეთის მოასფალგება.

ესაუბრა
იოსებ გოგიჩია,
„სრ“ საკ. კორ.
ხობი.

◎ სეისმოლოგია

ხელის გამოწვდა იტალიურად

საქართველო, იგალიის მსგავსად, სეისმურად მაღალი რისკის ქვეყანაა. ამის თაობაზე ითქვა იგალიის საელჩოში გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც ამ ქვეყნის ელჩმა საქართველოში ფაბრიციო რომანომ საინტერესო განცხადება გააკეთა. როგორც მან გვამცნო, შეიქმნა პროექტი SETA, რომელიც თბილისის არეალის სეისმოლოგიური რისკის შეფასების ახალი ტექნოლოგიების და მეთოდების განვითარებას ითვალისწინებს. პროექტგზე, რომელსაც იგალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს, 500 000 ევრო დაიხარჯება და 2006 წლის მარგისთვის დასრულდება.

ერთი სიგყვით, ძალიან სასიკეთო საქმე კეთდება, ცოგა ხანში თბილისის ირგვლივ ოთხი სეისმური სადგური დაიდგმება. მას განალაგებენ შავნაბადას, მარგყოფის, თბილისის ზღვისა და მცხეთის მიდამოებში, საიდანაც გეოლოგიური და სეისმოლოგიური დაკვირვება მოხდება თბილისზე.

პროექგში მონაწილეობენ ქ. გრიესგეს ექსპერიმენგული ოკეანოგრაფიის და გეოფიზიკის ინსგიგგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსგიგგი და საქართველოს გექნიკური უნივერსიგეგი.

უკვე შექმნილია საქართველოში მიწისძვრების ინგენსივობის კგალოგი, გეოლოგიური გექგონური და მორფოლოგიური კვლევების საფუძველზე რეგიონალური

სეისმოგენური მოდელის ქსელის ინსგალაცია.

როგორც სეისმური დაცვის სამსახურის უფროსმა ზურაბ ჯავახიშვილმა გამბარგა, სეისმური რისკი მაღალია შენობებით გადაგვრთულ თბილისში, რაც სამი წლის წინანდელმა მიწისძვრამ კარგად დაგვანახა. ჩვენთან უსაფრთხოების მიზნით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ამგომაც იგალიელების დახმარება ამ მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია.

მანვე თქვა, რომ ხუთი ქართველი ახალგაზრდა გრენინგგებს გაიელის იგალიის პრესგიჟულ ინსგიგგებში. პროექგით გათვალისწინებული კვლევებისა და სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია. საქართველოში უკვე საჩუქრად ჩამოიგანეს სეისმოლოგიური კვლევის ოთხი სადგური, რომელიც ასევე უსასყიდლოდ დამონგაჟდება.

ლალი ძინძლაძე

◎ ინფორმაცია

ვისია მგკვრის კალაპოგი?

თბილისის მერიაში გუშინ, მდინარე მგკვრის კალაპოგში გასხვისებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით დაინგერესებულ მხარეებს შორის ზეპირი მოსმენა გაიმართა. მოსმენაზე მოწვეულები იყვნენ ქალაქ თბილისის მერია, კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია, რომელმაც საჩიგარი წარადგინა ქალაქის მთავრობაში და დაინგერესებული მხარეების ადვოკაგები.

შეხვედრაზე ძირითადად აქცენგი გაკეთდა მგკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ 14 უკანონოდ გასხვისებულ ნაკვეთთან დაკავშირებით. როგორც ამ ნაკვეთების მფლობელთა ადვოკაგებმა განაცხადეს, მათი აზრით გენერალური ინსპექცია არ წარმოადგენს კომპეგენგურ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილი იყო მერიისათვის წარედგინა საჩიგარი. ადვოკაგებმა ასევე პროგესგი გამოთქვეს იმის გამო, რომ მერი არ არის უფლებამოსილი პრემიერს განკარგულება გააუქმოს, რადგან „დედაქალაქის შესახებ“ ორგანული კანონით მას ეს უფლება 2004 წელს ჩამოერთვა. პრემიერის განკარგულების გაუქმება შეეძლო მხოლოდ საკრებულოს.

ასევე ადვოკაგები მიიჩნევენ, რომ საქმე უნდა განხილულიყო სასამართლოში. ქალაქის მერმა მოპასუხე მხარეების ადვოკაგების შუამდგომლობები არ დაკმაყოფილა და საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. თბილისის მერი გადაწყვეგილებას კანონიერი დაცვის გენერალური ინსპექციის საჩიგარზე სავარაუდოდ უახლოეს დღეებში მიიღებს.

ზამორისთვის გაზს გაგვიძვირებენ?

2006 წლიდან რუსული გაზი გაძვირდება. ამის შესახებ განცხადება გუშინ „გაზპრომის“ აქციონერთა კრებაზე კომპანიის მმართველობის საბჭოს თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნებისთვის რუსული გაზის საფასური დღეს საკმაოდ დაბალია. ამიგომ, მომავალი წლიდან იგი აუცილებლად გაიზრდება. ამჟამად, საქართველო „გაზპრომის“ შვილეული კომპანია „გაზექსპორგისგან“ ათას კუბურ მეგრ ბუნებრივ გაზს სამოც დოლარად ყიდულობს.

„გაზპრომი“ საქართველოსთვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის გაზრდას ჯერ კიდევ 2005 წლის დამდეგს აპირებდა, თუმცა, კომპანია „თბილგაზის“ ყოფილი გენერალური დირექგორის დავით მორჩილაძის მოსკოვში ვიზიგისას წარმოებული მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და თბილისი ამჟამად 1000 კუბურ მეგრ ბუნებრივ გაზს 75 დოლარის ნაცვლად კვლავ ძველ ფასად ყიდულობს.

არ არის გამორიცხული, 2006 წლის პირველი იანვრიდან თბილისისთვის მოწოდებული ბუნებრივი გაზის საფასური 90 დოლარამდე გაიზარდოს. როგორც „თბილგაზში“ აცხადებენ, „გაზექსპორგთან“ ხელშეკრულება გასული წლის ნოემბერშია გაფორმებული. შესაბამისად, მომწოდებელ კომპანიასთან ახალი ხელშეკრულების დადება მომდინარე წლის ნოემბრისთვის იქნება აუცილებელი. სავარაუდოდ, ამ დროისთვის გახდება ცნობილი გაიზრდება თუ არა საქართველოსათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის ფასი.

ინგერპრესნიუსი.

◎ ღვაწლი

დაუცხრომელი კვლევისა და ძიების წლები

გივი ზვიადაძე 70

1972-1973 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გივი ზვიადაძის ავტორობით ინგლისურ ენაზე გამოცემულმა „თანამედროვე ამერიკული და ბრიგანული ინგლისურის შეპირისპირებითმა ლექსიკონმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. მასზე გამოქვეყნებულია დადებითი რეცენზიები ამერიკის, ინგლისის, გერმანიის (როგორც ფედერაციული, ასევე დემოკრაგიული რესპუბლიკის), ინდოეთისა და სხვა მრავალ სამეცნიერო ჟურნალში. აი, რას წერდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი მერი იანქოშვილი: „ცნობილია, რომ ყოველი ენა წარმოადგენს მიკროკოსმოსს, რომელსაც თავისებური ენობრივი და ემოციონალური სამყარო გააჩნია. ერთ ენაში სიგყვის შინაარსობრივი სგრუქგურა, რომელიც ნიშანთა სრულ კომპლექსს წარმოადგენს, არასოდეს არ მეორდება სხვა, თუნდაც მონათესავე ენაში მთელი თავისი სემანგიკური შემადგენლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ შეპაირისპირებული სიგყვებისა და გამოთქმების ცნებობრივი კომპლექსები და განსაკუთრებით მათი ემოციონალური კონოგაციები მხოლოდ ერთი ენის განუმეორებელ საკუთრებას წარმოადგენს. მას, ვინც თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში მუშაობს, მართებს არა მარგო ღრმა ცოდნა შესაპირისპირებელი ენებისა, არამედ უნდა გააჩნდეს დიდი მეცნიერული ალღოც და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა, ბილინგვური ლექსიკონი თანამედროვე აზროვნების დონეს შეუფარდოს.

მით უფრო რთულსა და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს მონოლინგვური ლექსიკონის შედგენა, მითუმეგეს, როდესაც ამგვარ ლექსიკონში ერთიდაიგივე ენის ორი ვარიანგია შეპირისპირებული. მსგავს ნაირსახეობათა შეპირისპირებითი შესწავლა თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქგულური პრობლემაა. შეპირისპირებითი ანალიზი ავლენს თითოეული ვარიანგის როგორც სგრუქგურულ, ასევე სემანგიკურ თავისებურებებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება საკვლევი ენის განვითარების გენდენციების დადგენა, ენობრივი აზროვნების ფორმათა აღნუსხვა, ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ახალი შინაარსობრივი პოგენციალის რეალიზაცია და მრავალი სხვა.

ამიგომ, უდაოდ მისასალმებელია ის ფაქგი, რომ ჩვენმა თანამემამულემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის წევრმა გივი ზვიადაძემ 1972 წელს ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა „თანამედროვე ამერიკული და ბრიგანული ინგლისურის შეპირისპირებითი ლექსიკონი“. (რედაქგორი ვენერა ურუშაძე.), რომელიც რამდენადმე შევსებულად კვლავ გამოიცა ერთი წლის შემდეგ. აღსანიშნავია ის, რომ ასეთი სახის ლექსიკონი პირველად გამოდის საბჭოთა კავშირში“.

რეცენზიის მომდევნო ნაწილში პროფესორი მერი იანქოშვილი ციგირებას ახდენს მრავალი საზღვარგარეთელი მეცნიერის გამოხმაურებიდან ამ ნაშრომზე.

პირველი ცდის წარმაგების შემდეგ გივი ზვიადაძე აგრძელებს მუშაობას ამავე თემაზე და 1981 წელს გამოიცა „თანამედროვე ამერიკული ინგლისურის ლექსიკონი ბრიგანულთან შეპირისპირებით“, რომლითაც იმავე წელს დაინგერესდა მრავალი საზღვარგარეთული გამომცემლობა.

დაწყებული 1983 წლიდან, ინდოეთის უდიდესი ანგლო-ამერიკული გამომცემლობა „არნოლდ-ჰაინემანი“ რამდენიმეჯერ, ლაიფციგის „ენციკლოპედია“ ორჯერ (1985-87) და აშშ-ს ორი გამომცემლობა – „ჰუმანიგარული პრესა“ (ახალი ჯერსი, 1987) და „პრომეთეუს ბუქს“ (ნიუ-იორკი, 1997) აქვეყნებენ ამ წიგნს. ამერიკული გამოცემების ყდაზე ეკითხულობთ: „გივი ზვიადაძეს და უნივერსიგეგს, რომლის სპოსსორობითაც გამოვიდა ეს ნაშრომი, კარგი საბაბი აქვთ იმისათვის, რომ იამაყონ ამ წიგნით. ჩემი აზრით, იგი ფართოდ უნდა დაინერგოს ინგლისური ენის მასწავლებლებსა და სგუდენგებს შორის“ (პროფესორი თომას პაილი, ჟურნალი „ამერიქან სპინ“ გომი 48); „ეს სოლიდური ნაშრომი მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ შესრულდა ინგლისისა და ამერიკის უნახავად“ (პროფესორი რეივენ ი. მაქდეივიდი, ჩიკაგოს უნივერსიგეგი); „ამ ლექსიკონში, მისი ჭეშმარიგად დიდი მოცულობისა და სფეროს გარდა, განსაკუთრებით ვიფასებ ციგაგების თანამედროვეობასა და თქვენს უნარს, ჩასწვდეთ მასში წარმოდგენილი სიგყვების როგორც ხაგოვან, ასევე ლიგერაგურულ მნიშვნელობებს“ (პროფესორი ალბერგ ჰ. მარკუორდგი, მიჩიგანის უნივერსიგეგი); „ეს შესანიშნავი წიგნი კარგ სამსახურს გვიწევს ინგლისურ-ამერიკულ განსხვავებათა დადგენაში, რომელთაც თითქმის კოსფლიქგამდე მივყავართ საკლასო ოთახში“ (პროფესორი ჯეინ ს. ჰარდერი, ფლორიდის უნივერსიგეგი); „პაგივი და დიდება გივი ზვიადაძეს „თანამედროვე ამერიკული ინგლისური ენის ბრიგანულ ინგლისურთან შეპირისპირებითი ლექსიკონის“ კვლავ გამოცემისათვის“ (მულკ რაჯ ანანდი, ინდოეთი).

ბამბერგის უნივერსიგეგის პროფესორი ვოლფგანგ ვირელი (გფრ) ლაიფციგის „ენციკლოპედიის“ მიერ 1985 წელს გამოქვეყნებულ გივი ზვიადაძის წიგნზე თავის რეცენზიაში უწოდებს მის „მეორე საუკეთესო ნაშრომს“ ინგლისური ენის ამერიკულ-ბრიგანული განსხვავებების განსაშუქებლად „თანამედროვე ინგლისურის ლონგმანის ლექსიკონის“ (ლეიბზიგ) შემდეგ, რომელიც პირველად მხოლოდ 1978 წელს გამოვიდა და გივი ზვიადაძის წიგნის პირველი გამოცემა კი ექვსი წლით ადრე 1972 წელს განსორციელდა...

გივი ზვიადაძე ამერიკულ და ბრიგანულ ინგლისურს შორის არსებულ განსხვავებათა პარალელურად იკვლევს XX-XXI საუკუნის ამერიკულ სლენგს, რომელზედაც აქვეყნებს სგატიებს ხხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში და ამ თემაზე უკვე სამი წიგნი აქვს გამოცემული – ამერიკული სლენგის დამხმარე სახელმძღვანელო და ორგომეული „სლენგური და კოლოკვიალური იდიომები XX ს ამერიკულ პრმაში“ ინგლისურ ენაზე, რომელიც ფაქგიურად წარმოადგენს შემოთადენ მიმდინარე საკითხის დიაქრონულ კვლევას ამერიკელი მწერლების მხაგვრული ნაწარმოებებიდან მოელი გასული საუკუნის მანძილზე. ახლო მომავალში გივი ზვიადაძეს განსრახული აქვს „ამერიკული სლენგური და კოლოკვიალური იდიომების ლექსიკონის“ (ინგლისურ ენაზე 900 გვ.) გამოქვეყნება. აქვს სხვა შემოქმედებითი გეგმებიც.

აღსანიშნავია, რომ როგორც ზემოთ მოხსენიებული ორგომეული ამერიკულ სლენგზე, ასევე, უფრო ადრე, ამერიკაში გამოცემული ლექსიკონი ინგლისური და ამერიკული განსხვავებების შესახებ ზვიადაძის ავგორობით ღღესაც ვრცელდება მსოფლიოში ინგერნეგის საშუალებით (იხ. ამაზონ.ცომ. გივი ზვიადაძე) და ეს კი იმის დასტურია, რომ გივი ზვიადაძეს უკანასკნელი სამ ათიუნეს მეგი წლის განმაელობაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგისა და მისი გამომცემლობის სამეცნიერო პროდუქციის პოპულარიზაციის საქმეში, მრავალ უნივერსიგეგელ კოლეგასთან ერთად, თავისი შესაძნევი წვლილიც შეაქვს.

გურაბ აბაშიძე, ციური ახვლედიანი, გოგი გაჩეჩილაძე, გაგა გაჩეჩილაძე, რისაგან ბორდგზიანი, ლილი გოქსაძე, ზურაბ კიკნაძე, თემურ კოპახიძე, გურამ ლებანიძე, ინესა მერაბიშვილი, იური მოსიძე, მაია ნამიაძე, კარლო სამნიაშვილი, ნელი საყვარელიძე, რევო სირაძე, დალი შანქიკიძე, ვიოლა ფურცელაძე, შოთა შაბურიშვილი, გელა ჩარკვიანი, ნინო ჩაჩუა.

იბეჭდება ავგორთა ხარჯით.

№ 149, შაბათი, 25 ივნისი, 2005 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

საქართველოს დამსახურებული მხატვარი შოთა მეტრეველი, საქ. სახალხო არტისტი ალექსანდრა (შურა) თოიძე, საქ. დამსახურებული მხატვარი მარგარიტა მეტრეველი, გერმანისტი მარინა სვანი-მეტრეველი და მოქანდაკე მერაბ მეტრეველი.

1980 წელი.

ფოტო მოგვაწოდა თამთა მეტრეველმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

◎ გიხაროდენ!

„ჰერაში“ თერთიასაკით გოგო დაიბადა



ამ დღეებში სამშობიარო სახლ „ჰერაში“ სხვა ახალშობილებს შორის ერთი მშვენიერი გოგონაც დაიბადა, თავ ჩადნელისა და მიშიკო ხაჩიძის პირველი შვილი. ჩვილს ნინო დაარქვეს. მისმა ამქვეყნად მოვლენამ მშობლებთან ერთად დიდად გაახარა პაპა-ბებიები ელიკო ნადირაძე, ნელი მაისურაძე და ზაურ ხაჩიძე, ლეიდები ფიქრია და ია ჩაღუნელები, მამიდა და ბიძა მაკა და ზაზა ხაჩიძეები. პაწია ნინოს ნახვას მოუთმენლად ელოდნენ დეიდაშვილები თემო სვანიძე და დათა ქიქიაშვილი.

პირველ შვილს ვულოცავ თაას და მიშიკოს, სიხარული და ბედნიერება ნუ მოშლოდეს.

თეონა ლომთაძე

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04, 99-73-24.

◎ გამოიცა

ვინ არიან მფარველი ანგელოზები?

...რა თემას უნდა შეეხებოდეს წიგნი, რომელსაც ავგორმა „მფარველი ანგელოზები “ უწოდა?

...ეს სათაური უთუოდ მიიზიდავს მკითხველს და საკმაო ცოდნასაც შესძენს შესახებ იმისა, რაც დღემდე ბევრისთვის ნაკლებ ცნობილი ანდა სულაც უცნობი იყო...

წიგნი ეძღვნება სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლებში დაღუპული მოწყალების დების ნათელ ხსოვნას, რისთვისაც ავგორს, მეცნიერსა და მწერალს, რამაზ სურმანიძეს დიდი შრომა გაუწევია.

მისივე სიტყვებიდან ვიცი, რომ სწორედ მას, როგორც მედიცინის ისტორიკოსს შესთავაზეს დაეწერა, ანუ შექმნა მაგიანე საქართველოში წითელი ჯვრის მოძრაობის შესახებ,

ავგორმა გადაწყვიტა არა მარტო პერსონალურად მამულიშვილთა თავგანწირვის ასახვა, არამედ ქართული წითელი ჯვრის საზოგადოების, მისი წინამორბედი ორგანიზაციების, მოხალისეთა სანიგარიული რაშმების და სხვა გაერთიანებების შექმნა-ჩამოყალიბების თარიღების დადგენა და მათი საქმიანობის გაანალიზება.



და რაც მთავარია: მკითხველის სამსჯავროზე პირველად გამოიტანა ქართული წითელი ჯვრის საზოგადოების საუკუნოვანი ისტორია 1827 წლიდან 1921 წლამდე, რაც თავისთავად, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთად მიაჩნია.

შესავალშივე ნათქვამია, რომ საომარი მოქმედების დროს ომის მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობა, ავადმყოფთა და დაჭრილთა მოვლა-პატრონობა საქართველოში ერთ-ერთ უწინაეს მოვალეობად ითვლებოდა ყოველთვის, რომ არაერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ მიდიოდნენ ომში მსხვერპლთა დასახმარებლად მათი ოჯახის წევრები, უპირატესად ქალები. ისინი გაცხარებული ომის დროს ვვერდში ედგნენ, ჭრილობებს უხვევდნენ და აპერებდნენ მებრძოლებს...

აი, რაგომ დაენათლა წიგნს სათაურად „მფარველი ანგელოზები“ (გამომცემლობა აჭარა).

საინტერესოა ავგორის დასკვნა: „საქართველო, ბუნებრივია, ევროპის ქრისტიანული ქვეყნების გზით წავიდა და ამთავითვე ჯვრის ნიშნის ეშინარა, მაგრამ მთავარი ეს არაა. ამჯერად ჩვენს დიდ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ განმასხვავებელ ნიშნად წითელი ჯვარი საქართველოში გამოიყენეს ჯერ კიდევ ქეჩევის კონვენციამდე და რუსეთის წითელი ჯვრის ორგანიზაციის აღიარებამდე“ (გვ. 26) – წერს იგი და სათანადო დოკუმენტსაც იშველიებს, რომელიც 1827 წლით თარიღდება! ანუ 35 წლით ადრე ქეჩევის კონვენციამდე, მაშინ როცა შვეიცარიაში მხოლოდ თეთრი ჯვარი ჰ ქონიათ.

მკითხველისთვის ფრიად საინტერესო პიროვნებები არიან აღბეჭდილი რამაზ სურმანიძის წიგნში: მარიამ ორბელიანი მოწყალების დების პირველი მეთაური (ვახტანგ გურიელის ქვრივი), რომელსაც 1828-29 წლების ომის დროს ცინისძირთან გამოუჩენია თავი. ავგორს დიდძალი მასალის მოხმობა დაჭირვებია თავისი ნაშრომის სრულყოფისათვის და კეთილსინდისიერად შეუსრულებია დასახული მიზანი.

კიდევ იმათ გვარებსაც ჩამოთვლი, ვინც დასახელია კეთილ ანგელოზებად და არა ოდენ ქალები. იღუმენია ნინო (ამილახვარი), ნინო გურიელი, ივანე და გიორგი ამილახვრები, ანა ერისთავი-ჭავჭავაძისა, ელისაბედ ყაბუეი, დიმიტრი ყიფიანი, ლიდა ანდრონიკაშვილი, ანეტა ანდრონიკაშვილი, ყადირ შერვაშიძე, ელენე ხეჩინაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი.

აქვეა ცნობები სამშობლოს გარეთ წითელი ჯვრის საზოგადოებაში მოღვაწე ქართველებზე. ივანე ნაკაშიძეები, ილია ახმეტელზე, ელენე სტოლიაროვა-წულუკიძეზე, ქრისტინე ღლონტზე, აკაკი ხორავაზე, როგორც კიევის წითელი ჯვრის რაშმების აქტიური ხელმძღვანელზე, ლევან შუბალაშვილზე - მოსკოვში ქართული ქველმოქმედების ბაირახტარზე, მოსკოვშივე არსებულ ქართველთა ლაზარეთზე, რომლის სპეციალ უფროსად ა.ი. სუმბათაშვილის და ეკატერინე დუნიშნავთ.

„მოსკოვის უნივერსიტეტის და კომერციული ინსტიტუტის ქართველმა სტუდენტებმა შეადგინეს წითელი ჯვრის ე.წ. „მფრინავი რაშმი“, რომელიც სხვა ლაზარეთებშიც ეძებდა დაჭრილ თანამემამულეებს“...

1918-1921 წლების მფარველ ანგელოზთაგან მოთხრობილია ნამეტია გოგუაძის, ნიკოლოზ მელიქიშვილისა და მარო მაყაშვილის შესახებ... აქ მთავრდება საქართველოს ეფემერული დამოუკიდებლობის, ანუ მისი თავისუფლების ტრაგიკული აღსასრული ხანა!..

ნანა ღვინეფაძე

◎ ისრაელი

ჩვენი საერთო შვილები

19 ივნისს თელ-ავივში საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა და სრულიად ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციამ მოაწყვეს გამოჩენილი რელიგიური და საზოგადო მოღვაწის რაბი დავით ბააზოვის დაბადებიდან 120 და ცნობილი მწერლისა და დრამატურგის გერცელ ბააზოვის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.



კონგრესის მონაწილეთა წინაშე მოგონებებითა და მოხსენებებით წარსდგნენ აღიარებული მკვლევარები, მწერლები და ბაზოვების ოჯახის მეგობრები ისრაელიდან და საქართველოდან.

კონფერენცია გახსნა სრულიად ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს საპატიო მოქალაქემ თამარ მამისთვალოვმა. შეკრებილთ მიესალმნენ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი და სრულიად ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციის თავმჯდომარე ეფრაიმ ბაუხი.

ძალზე საინტერესო იყო პროფესორ მიხეილ ბანდის მოხსენება „ბაზოვების ოჯახი“, მწერალ გურამ ბათიაშვილის „გერცელ ბაზოვის პიესები ქართულ თეატრში“, დოქტორ გურშონ ბენ-ორენის (წიწუაშვილი) „რელიგიური და არარელიგიური სიონიზმი საქართველოში“, პროფესორ რუბენ ენოხის (ენუქაშვილი) „დავით ბაზოვის პუბლიცისტური წერილების ენობრივი თავისებურებანი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ გივი დამბაშიძის „დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი“, დოქტორ მოია ჯინჯიხაშვილის „გერცელ ბაზოვის რომანის „ფეთხაინის“ სახელწოდების რაობისათვის“, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციისის ვიცე-პრეზიდენტის, დოქტორ შალვა წიწუაშვილის „გერცელ ბაზოვის პუბლიცისტიკა“, დოქტორ ლილი ბაზოვის „რამდენიმე დოკუმენტი დავით და გერცელ ბაზოვების შესახებ“, ისრაელში საქართველოს კონსულის, პოეტ ჯემალ ჯაიანშვილის „გერცელ ბაზოვის პოემა“ და სხვ.

კონფერენცია შეჯამა მწერალმა, პროფესორმა გურამ ბათიაშვილმა.

ეს იყო მშვენიერი, ღირსსახსოვარი დღე. პატივი მიაგეს ებრაელი და ქართველი ხალხების გამოჩენილ შვილებს და კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაში ორი ერის 26-საუკუნოვან თანაცხოვრებასა და ძმობას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი

მეუღლე გივი ანდღულაძე, შვილები თამრიკო, დათო, ძმა გოგა გრძელიშვილი, სიძე აჩიკო ყურაშვილი, რძალი ნათია სულაძე, შვილიშვილები ნინო, გიორგი, სანდრო, თემურ ყურაშვილები, სანდრო, ქეთი, ლაშა ანდღულაძეები, მძახლები ჯანი, ტაგა სულაძეები, ნინა, ნოდარ ყურაშვილები იუწყებიან

დალი ანდღულაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 26, 27 VI, 17 სთ. გამოსვენება 28 VI, 15 სთ. საბურთალოს ეკლესიიდან.

ციალა და ირაკლი ანდრიაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დალი ანდღულაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თამილა ცაგარეიშვილი, ცირა გუგუშვილი, ნინო და არჩილ ძულიაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დალი ანდღულაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯუმბერ გოცირიძე ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის

დალი გრძელიშვილი-ანდღულაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ძმა ალეკო ქვანია, რძალი მადონა ანდღულაძე, ძმისწულები ირინა, მირანდა ქვანიები, სიძეები კოკა გეგეჭაძე, ბექა ლაბაძე იუწყებიან

სვეტლანა ვლადიმერის ასულ ქვანია-ბაბუნიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27 VI, 17 სთ. დაკრძალვა 28 VI, 15 სთ, ვარკეთილის მე-4 მ/რ, II რიგი I კორპუსი, ბ. 71-72.

◎ ცოტაც გავილიმოთ...

— რა განსხვავებაა რექტორს, სტუდენტსა და ტრამვაის შორის? — ეკითხებიან სტუდენტ გოგოს.

— რექტორსადა სტუდენტს შორის — პრაქტიკულად არანაირი, ტრამვაის ქვეშ კი ჯერ არ მოვმხვდარვარ.

* * *

— წავიდეთ, ღამით ტიტვლებმა ვიცურაოთ, — ეუბნება კურორტზე ბიჭი გოგოს.

— ცურვა არ ვიცი.

— ჩვენ არც ვიცურავებთ.

* * *

იაპონიაში გამოიგონეს რობოტი, რომელიც ნებისმიერ პოლიციელზე უკეთ იჭერს ქურდებს.

მისი მეშვეობით იაპონიაში 5 წუთში 100 ქურდი დაიჭირეს.

ამერიკაში მისი წყალობით 5 წუთში 200 ქურდი გაკოჭეს.

საქართველოში 5 წუთში ვიღაცამ ის რობოტი მოიპარა!

* * *

დაბალი თანამდებობის მუშაკის ლოცვა: ღმერთო, მომეც სიბრძნე, რომ გავუგო ამ ჩემს დებილ შეფს; უფალო, მომანიჭე მოთმინება, რომ ავიტანო მისი სიბრიყვე, მყავ გულმოწყალე, რომ შევეუნდო მაგ დებილს; და განსაკუთრებით გთხოვ, მწყემსო კეთილო, ნუ მომცემ ძალას, თორემ შემომაკვდება ის უკეთური!

* * *

ახალი თმის საღებავი! ღებავს ჭაღარას და გამელოტებულ ადგილს!

* * *

— რატომ არ ატარებ საქორწინო ბეჭედს?

— ყელში მიჭერს!

* * *

მთვრალი ტიპი ზარს რეკავს. კარს ცოლი უღებს. ტიპი შედის, აკურატულად დაკეტავს კარს, ცოლს ზურგით დაუდგება და ეუბნება: მესამე სართულზე, თუ შეიძლება!

ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
მსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიგარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიგარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შსამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

◎ ამინდი

25 ივნისი	☼	)
თბილისი	26°	17°
ბათუმი	26°	15°
თელავი	26°	15°
სოხუმი	24°	15°
ქუთაისი	26°	17°

◎ ლარის კურსი

24 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლ. გირვ. სტერ.	1	3.3015 ლ.
აშშ დოლარი	1	1.8126 ლ.
ევრო	1	2.1925 ლ.
რუსული რუბლი	1	0.0633 ლ.
აზერბაიჯ. მან.	1000	0.3835 ლ.
სომხური დრამი	100	0.4079 ლ.
უკრაინული გრივ.	10	3.6036 ლ.

დღის კალენდარი 25 ივნისისთვის

წლის 176-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 189 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება ღირსი ონოფრე დიდისა (IV) და პეტრე ათონელისა (734); წმიდა მეუდაბნოეთა: იოანე, ანდრია, ირაკლემონე და თეოფილესი (IV). ღირსი მამისა იოანე (თორნიკე) მთაწმინდელისა.

დაიბადნენ:

1852 – ანგონიო გაუდი, ბარსელონელი არქიტექტორი. გარდაიცვალა 1926 წელს.

1903 – ჯორჯ ორუელი, ინგლისელი მწერალი, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1950 წელს.

1907 – იოანეს დანიელ იენსენი, გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1973 წელს.

1911 – უილიამ სტეინი, ამერიკელი ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1980 წელს.

1931 – ლევან ჩხეიძე, მოქანდაკე.

გარდაიცვალნენ:

1822 – ერნსტ ტეოდორ ამადეი ჰოფმანი, გერმანელი მწერალი.

1995 – ერნესტ ტომას სინგმო უოლტონი, ირლანდიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1997 – ჟაკ-ივ კუსტო, ფრანგი ოკეანოგრაფი, აკვალანგის გამომგონებელი.

მოვლენები:

1783 წელი – ფრანგმა ქიმიკოსმა ანტუან ლორან ლავუაზიემ დაამტკიცა, რომ წყალი შედგება წყალბადისა და ჟანგბადისაგან.

1788 წელი – ვირჯინია აშშ-ს მეათე შტატი გახდა.

1857 წელი – გამოვიდა ფრანგი პოეტის შარლ ბოდლერის ლექსების კრებული – „ბოროტების ყვავილები“.

1910 წელი – პარიზის გრანდ-ოპერაში გაიმართა იგორ სტრავინსკის ბალეტის „ფასკუნჯის“ პრემიერა.

1965 წელი – ჩრდილოეთ კორეა შეიჭრა სამხრეთ კორეაში.

1977 წელი – თევზჭერის დროს მეხი დაეცა ამერიკულ როი სალივანს, რომელსაც მკერდი და მხრები დაეწვა. საერთოდ, მას შეიჯერ დასცემია მეხი და გადარჩა, რის გამო ის გინესის წიგნში მოხვდა.

1991 წელი – ხორვატიამ და სლოვენიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რაც იუგოსლავიის დაშლის დასაწყისი გახდა.

მედიანიუსი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, როგორც მოსაგრეებები, შესაძლოა, ეუღამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK